პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ, წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 10 (863) შაბათი, 12 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 10 (63)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ბელგრადში გაიხსნა მცირე ანტანტის კონფერენცია.

საბერძნეთის მთავრობის შედგენა მიენდო დანგლისს.

მთავრობა შედგება ლიბერალებისაგან, კონსერვატორებისაგან და ვენიზელოსელებისაგან. საგარეო საქმეთა მინისტრად არჩეულია ვენიზელოსი.

იაპონიაში ძლიერდება [illegible].

სკანდინავიის კომპარტიის კონფერენცია გადაიდო 20 იანვრისათვის.

ნორვეგიამ შეისყიდა 75 ათასი ტონი რუსეთის ჭვავი.

ინგლისი „მუშათა მთავრობის" მოლოდინში

დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებმა ინგლისში შექმნა სრულიად ახალი მდგომარეობა... ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით პარლამენტში; სასტიკად დამარცხდა მმართველი პარტია და გაიმარჯვა ოპოზიციამ: მუშათა პარტიამ—მაკდონალდის და ლიბერალებმა—ლოიდ-ჯორჯისა და ასკვიტის მეთაურობით.

ძალთა განწყობილება პარლამენტში არჩევნებამდი იყო ასეთი. სამი უმთავრესი პარტიიდან: კონსერვატორებიდან, მუშათა პარტიიდან და ლიბერალებიდან—კონსერვატორებს ე. ი. მმართველ პარტიას ჰყავდა 346 დეპუტატი; მუშათა პარტიას—144 დეპუტატი; ლიბერალებს—115.

არჩევნების შემდეგ კი, დღეს, პარლამენტში არიან: კონსერვატორები—253; მუშათა პარტია—192 დეპუტატი; ლიბერალები—151 დეპუტატი.

როგორც მკითხველი ხედავს კონსერვატიული პარტია დამარცხდა, ხოლო გაიმარჯვა ორივე ოპოზიციონურმა პარტიებმა. პარლამენტში ძლიერების მიხედვით პირველ რიგში სდგას ისევ კონსერვატორები, შემდეგ მუშათა პარტია და ბოლოს ლიბერალები. არჩევნებამდე უმრავლესობა პარლამენტში ჰყავდა კონსერვატორებს (615 დეპუტატიდან—346) ამიტომ შესაძლებელი იყო ერთიანი კონსერვატიული მთავრობა. დღეს კი ასეთი უმრავლესობა არ გააჩნია არც ერთ პარტიას. ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობის შესადგენათ აუცილებელი ხდება თანამშრომლობა, კოალიცია რომელიმე ორი პარტიის და ეს ართულებს მთავრობის შედგენის საქმეს. ორ ძლიერ პარტიიდან (კონსერვატორები და მუშათა პარტია) ის შეადგენს მთავრობას, რომელსაც მხარს დაუჭერენ ლიბერალები და შეგროვდება ამნაირათ მომავალი ხელისუფლების დასაყრდნობი უმრავლესობა.

ინგლისის საპარლამენტო ჩვეულების თანახმად, მას შემდეგ, რაც ყოფილ მთავრობას (დღეს უმცირესობაში დარჩენილს) გამოუცხადებენ უნდობლობას, მეფე წინადადებას აძლევს ოპოზიციონური პარტიებიდან ყველაზე უფრო ძლიერის ბელადს, შეადგინოს კაბინეტი. ასეთი პარტია არის პარლამენტში, როგორც ზევით ვთქვით, მუშათა პარტია და ამიტომ ყველა „მუშათა მთავრობის" მოლოდინშია დღეს.

თავისთავად ცხადია, რომ „მუშათა მთავრობა" ინგლისში არ მოასწავებს შინაურ სოც.-ეკონომიური რეჟიმის შეცვლას. ჩვენ ვიცით ვინ უდგია სათავეში ამ „მუშათა პარტიას"; ვიცით ისიც, რომ ის იღებს ხელში ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეს არა რევოლიუციის შედეგათ, არა ბურჟუაზიული პარტიების დამარცხების შემდეგ, არამედ კონსტიტუციური გზით, საპარლამენტო კომბინაციების საშუალებით და ამიტომ მის გაბატონებას არ შეუძლია მოჰყვეს რაიმე არსებითი ცვლილება ქვეყნის სოც.-ეკონომიურ ცხოვრებაში, კიდევაც რომ ატარებდეს ეს პარტია რადიკალური ცვლილებების პროგრამას და გეგმებს. თვით ის ფაქტიც, რომ უძველესი კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზია დღეს უშიშრათ ურიგდება აზრს მუშათა პარტიისათვის ძალაუფლების გადაცემას, მაჩვენებელია იმისი, რომ მუშათა პარტია დარჩება, ყოველ შემთხვევაში მისი დღევანდელი ოფიციალური ბელადების **განზრახვით**, „ზომიერ გონიერების" ფარგლებში. სხვა საკითხია, რა გეზს აიღებინებს, („მუშათა მთავრობის" გამოცხადების შემდეგ) ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური კრიზისი და უმუშევართა მოძრაობა მთავრობას. ამ შემთხვევაში უკვე ნაკლები მნიშვნელობა ექნება იმას, რაც სურს პარტიის ბელადებს იმასთან შედარებით, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, რათა არ დაჰკარგონ ნდობა მასების. ამნაირათ კრიზისი მომავალი მუშათა მთავრობის მოსალოდნელია, თუ საზოგადოთ ხორცი შეისხა ასეთმა მთავრობამ. წინდაწინვე „წინასწარმეტყველება", თუ როგორ განვითარდება ეს კრიზისი—ზედმეტია დღეს. საკმაოა აღვნიშნოთ ჯერჯერობით მხოლოთ ის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც შეიქმნება ჩვენი კავშირისათვის მუშათა მთავრობის გამოცხადების ფაქტით, რადგან მაკდონალდი „იმუქრება" რომ საბჭოთა კავშირს იურიდიულათ იცნობს მომავალი მთავრობა. თუ ეს მოხდა, რაც შესაძლებელია ამ შემთხვევაში, უკვე ამით მაინც გააკეთებს ობიექტიურათ საერთაშორისო პროლეტარიატის და რევოლიუციის სასარგებლო საქმეს ოპორტიუნისტული მუშათა პარტია ინგლისში.

წერა-კითხვის უცოდინარობა და მასთან ბრძოლა

არა ერთხელ აღნიშნავს ამხ. ლენინი თავის წერილებში და სიტყვებში, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ისეთ ქვეყანაში, რომელიც თავისი კულტურით და შეგნებით დიდათ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. თუ, მაგალითად, გერმანიაში წერა-კითხვის უცოდინარი მოდის ათასზე რამოდენიმე კაცი, რუსეთში სულ სხვა მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. ჩვენში ნახევარზე მეტი მცხოვრებლებისა წერა კითხვის უცოდინარი იყო.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ხელი მოჰკიდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ჩვენ კარგად გვქონდა და გვაქვს შეგნებული, რომ ეს უცოდინარობა ყველაზე უფრო უდიდესი დაბრკოლებაა ქვეყნის კულტურულად აყვავების საქმეში. იქ, სადაც არ შეუძლიათ წაიკითხონ გაზეთი, წიგნი, ადგილი აქვს ჭორებს და ათასგვარ ცრუმორწმუნოებებს. ბრძოლა ამ ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე.

რა მდგომარეობაშია ეხლა ამ ფრონტზე ბრძოლის საქმე? რევოლიუციის პირველ წლებში ჩვენ შევქმენით მთელი რიგი სალიკვიდაციო პუნქტებისა, რომლებიც იყო სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამ მუშაობამ საგრძნობი შედეგები მოიტანა. მაგრამ მალე ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიური პოლიტიკის სისტემაზე. ამ პოლიტიკამ კი პირველ ხანებში დიდათ შეაფერხა წერა-კითხვის ფრონტზე ბრძოლის საქმე. დაიკეტა მრავალი სამკითხველოები, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები და სხვ.

საქართველოშიაც დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა, გასული წლის აპრილიდან. პოლიტგანების მუშაობა მინელდა, რადგან არ იყო საკმაო რესურსები. ამავე დროს რუსეთში ამხ. ლენინის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენ არ უნდა გვყავდეს არც ერთი უცოდინარი, ფართოთ გამოეხმაურა ყველა, ვის გულშიაც იყო სიყვარული და მისწრაფება ქვეყნის კულტურულ აყვავებისადმი. სახელმწიფო ორგანოებმა ხელი მოკიდეს წერა-კითხვის უცოდინარობას წინასწარ გამომუშავებული გეგმის მიხედვით. მაგრამ თავის თავათ ცხადია, რომ მარტო სახელმწიფო ორგანოები ამ ფრონტზე ვერაფერს გააწყობდნენ. აქ მოვიდა ფართო **საზოგადოებრივი ინიციატივა**, რომელიც გვერდში ამოუდგა სახელმწიფოს დაარსდა მთელი რიგი საზოგადოებებისა „**ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა**" და სხ. განსაკუთრებით უკრაინაში ამ საზოგადოებების მუშაობამ დიდ შედეგებს მიაღწია. ამრიგათ უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე სახელმწიფო და ფართო უპარტიო მასები ერთად მიდიან.

ჩვენში მხოლოთ ეხლა იწყება ეს მუშაობა. გადახალისებული მთავარ პოლიტგანი შეუდგა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას გეგმის მიხედვით. მიმდინარე წელში, მაგალითად, სალიკვიდაციო სკოლები უნდა გაიაროს 40 ათას კაცმა (10 პროც.). ასევე ყოველ მომავალ წლებში. ამრიგათ ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ გვეყოლება არც ერთი უცოდინარი. მაზრებში გაიხსნა და იხსნება სალიკვიდაციო სკოლები, რომელთაც დახმარებას უწევს სახელმწიფო.

თავის თავათ ცხადია, რომ ამ მძიმე მუშაობაში სახელმწიფოს გვერდში უნდა ამოუდგენ უპარტიო მასები. ფართო საზოგადოებრივი ინიციატივის გამოჩენით ჩვენ ადვილათ შევასრულებთ დასახულ მიზნებს. საჭიროა სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვ. სახელმძღვანელოების კი გამოცემა უნდა ამაში კი დახმარება უნდა გაუწიონ სახელმწიფოს თვით ფართო მასებმა ჩვენშიაც არის საჭირო შექმნა ისეთი საზოგადოებებისა, როგორც რუსეთში შეიქმნა: „ძირს წერა კითხვის უცოდინარობა" და სხვ.

ჩვენში უწინ არსებობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა თავისი გამომცემლობა და სხ. მაგრამ თვით პრინციპი ამ საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურისა ჩვენთვის მიუღებელი იყო და არის. წერა-კითხვის გავრცელება საჭიროა ყველა ეროვნების ხალხში. ახალი საზოგადოებაც უნდა აიგოს ამ **ინტერნაციონალურ** პრინციპზე.

ეხლა მთავარი პოლიტიკური განათლების მმართველობა აწარმოებს მუშაობას ასეთი საზოგადოების დაარსებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა მშრომელები სიხარულით შეხვდებიან ამ დაწყებულებას და გვერდში ამოუდგებიან სახელმწიფოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად.

ქ. ორაგველიძე.

სადაა ლოღიკა?

(გრ. ლორთქიფანიძის საპასუხოდ)

ჩვენ მოგვივიდა გრძელი წერილი (მთელი რვეული) გრ. ლორთქიფანიძისგან (საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისგან)

ავტორი გზა და გზა გვეკამათება. უმთავრესად იმეორებს იმას, რასაც თავის პირველ წერილებში ამბობდა სეით დევდარიანი: საქართველოს გადაქცევა რუსეთის კოლონიად, დაპყრობა ქართველი ერის და სხვა.

ამის შესახებ ჩვენ თავის დროზე ვრცელი პასუხი მივეცით ს. დევდარიანს, რომელმაც თავის უკანასკნელ წერილებში თითქმის უკვე წაიღო უკან ყველა ეს ბრალდებანი, როცა ამბობს, რომ საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად არსებობა ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი არისო, რომ საქართველოს რუსეთის კავშირის გარეშე არსებობა არ შეუძლია და ყველა დანარჩენი სახელმწიფონი, ყველა დანარჩენი ორიენტაცია საქართველოსთვის იქნება საშიშროება „საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ დასაყრდნობ წერტილად".

„—დღევანდელ რუსეთთან იმის კავშირში საქართველოსათვის არის საგრძნობი მიმატებითი ნიშნები. ყველა სხვა გზებზე ისტორია იძლევა გამოკლებით ნიშნებს. მე ზევით მითქვამს საქართველოს კოლხიათ გადაქცევის საფრთხეზე ახლანდელ პირობებში, მაგრამ ვერ ვიტყოდი, არ შემძლო, არ შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს ეკონომიურ კულტურულ წინმსვლელობის უკეთესი დრო დაუდგება, თუ ძალა-უფლება გადმოვიდა ჩვენი პარტიის ხელში".—აი რას სწერს ს. დევდარიანი თავის უკანასკნელ წერილში.

„კართაგენი უნდა დაინგრეს".

ამას სწერს ის ადამიანი, რომელიც დიდი პატრიოტი არის მენშევიზმის. მაგრამ ლოღიკა უკარნახებს მას „შეურიგდეს" რუსეთს, რუსეთის ორიენტაციას, ვინაიდან ყველა სხვა გზა არის გზა ეშმაკის.

დღეს რუსეთის იმპერიალიზმზე ლაპარაკი ძალიან მოძველებული თემაა, და თუ გრიშა ლორთქიფანიძე ამას მაინც იმეორებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალიან დაშორებულია ჩვენს სინამდვილესთან და, ალბად ემყარება ყალბ ინფორმაციას.

შემდეგ გრ. ლორთქიფანიძე გვეუბნება, რა დროს ლაპარაკია ეხლა იმაზე, რომ კომუნიზმი არის გამართლება მარქსიზმის, რომ კომუნიზმი იმარჯვებსო. დღეს ხომ ამგვარად დამტკიცებულია ყველასათვის, რომ ბოლშევიზმი არ არის მარქსიზმიო.

ჩვენ შევეცდებით ამ მოკლე ხანში უფრო ვრცლად უპასუხოთ გრ. ლორთქიფანიძეს, იქ ამ საკითხსაც ვრცლათ შევეხებით და შევეცდებით დავუმტკიცოთ გრ. ლორთქიფანიძეს, რომ მარქსიზმში ფეხი წაიტეხა სწორეთ მენშევიზმმა და არა ბოლშევიზმმა.

რევოლიუციონური მარქსიზმი არასოდეს არ იყო, არ ყოფილა მომხრე იმისა, რასაც აკეთებდენ რევოლიუციის გამარჯვების პირობებში, ბურჟუაზიულ კლასთან ვიწრო კავშირში, საქართველოს და გერმანიის სოციალდემოკრატები.

მოუსმინოთ ამის შესახებ თუნდაც თვით ს. დევდარიანს, მენშევიკური ცეკას წევრს. აი რას ამბობს ის:

„მე ვნახე ზოგიერთი საბუთები,—ჩვენი პარტიის წევრებთან აღმოჩენილი მიწერ მოწერა,—რომლებმაც მართლაც დამიმტკიცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი საქართველოს სოციალ-დემოკრატია სდგას მარქსისტულ ხაზისაგან, საერთაშორისო სოციალიზმის იდეოლოგიისაგან გადახრით რეალურ საფრთხის წინაშე".

შემდეგ წერილებში ს. დევდარიანი ამტკიცებს უნიადაგობას ფორმულის „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ", უნიადაგობას იმ ფორმულის, რომელსაც მარქსიზმის სახით ასაღებდენ ოპორტიუნისტული სოციალისტები.

ნუ თუ ამ ფორმულაში მიაჩნია გრ. ლორთქიფანიძეს მენშევიზმის გამარჯვება მარქსიზმის საკითხში

გრ. ლორთქიფანიძემ გაიმეორა კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც ჩვენ ერთ ერთ თავის წინანდელ წერილებში წამოგვიყენა ს. დევდარიანმა:

— რატომ თვით პარტიაში არ დასვით კითხვა ტაქტიკის შეცვლის შესახებ. თუ პარტიაში ვერ მიიღებდით ხმის უმრავლესობას, მაშინ შეგეძლოთ გასულიყავით პარტიიდან და გემოქმედათ პარტიის გარეშე, მოგეხდინათ „ბუნტიო".

ჩვენ გრ. ლორთქიფანიძეს უპასუხებთ იმას, რაც თავის დროზე ვუპასუხეთ ს. დევდარიანს.

მენშევიკური პარტიის არამკითხე „აპარატჩიკებს" (რომლებიც სრულიად არ იყვნენ ამ აპარატებში პარტიის წევრთა უმრავლესობის მიერ ნდობით აღჭურვილნი, ვინაიდან ცეკას ამ უკანასკნელ წლებში ირჩევდა მხოლოდ ვიწრო ჯგუფი), ასე ჰქონდათ წარმოდგენილი, თითქო პარტიას ისინი წარმოადგენენ.

ჩვენ კი პარტია გვესმის ყველა მისი წევრების სახით. და აი, ამ პარტიის წევრებს გარეშე არავის არ უმოქმედნია.

საქართველოს ყველა კუთხეებში შესდგა კონფერენციები, რომელსაც დაესწრო მთელი აქტივი მენშევიკური პარტიისა.

ამ კონფერენციებს ესწრებოდენ „აპარატის" „ოფიციალური" მენშევიზმის წარმომადგენლებიც, რომლებიც ფართო დეკლარაციებითაც კი გამოდიოდენ ჩვენს წინააღმდეგ სრულიად თავისუფლად.—ესენი სცემდენ და ფანტავდენ აგრეთვე აფარებელ არალეგალურ ფურცლებს.

მაგრამ ოფიციალურმა მენშევიზმმა ვერ გაიმარჯვა.

ამ კონფერენციებს მოჰყვა სრულიად საქართველოს ყრილობა მენშევიკებისა და ახალგაზრდა მარქსისტებისა, სადაც წარმოდგენილი იყო პარტიის 17 ათასი წევრი.

ახლა ვეკითხები გრ. ლორთქიფანიძეს:—პარტიაში დაისვა და გადაწყდა კითხვა ტაქტიკის შეცვლის შესახებ თუ პარტიის გარეშე? **რასაკვირველია, პარტიაში.**

ხოლო პარტიის გარეთ მუშაობენ დღეს მხოლოდ ის პირები, რომლებიც პარტიის უმრავლესობის მიერ მიღებულ გზას დღეს რევოლვერებით ებრძვიან.

ჩვენ კი ვიყავით პარტიასთან და ვრჩებით პარტიის უმრავლესობის მიერ მიღებულ პლატფორმაზე.—

რატომ ვერ დავსვით ეს საკითხი ცეკაში?—იყო ცეკაში ეს საკითხი, იყო სპეციალური მოლაპარაკებაც „აპარატჩიკებთან".

მაგრამ ცეკას არ სურდა ამ საკითხის გარჩევა, ყოველმხრივ აწონ-დაწონა, გაშუქება. ის ჯიუტობდა, ის გაურბოდა კრიტიკას, ის დარწმუნებული იყო, რომ „რომის პაპი უცოდველია" და ამიტომ ბრძოლაც წააგო.

ალბად, თვით ს. დევდარიანმაც ვერ შესძლო ტაქტიკის შეცვლის საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით დასმა ცეკაში. მან მხოლოდ ეხლა დასვა ეს საკითხი ცეკას გარეშე.

ასეთი იყო ის პირობები, რომელიც შექმნა ცეკას პოლიტიკამ მენშევიკურ პარტიაში.

დასასრულ გ. ლორთქიფანიძე მაინც ვერ გაურბის ლოღიკას, სინამდვილეს და ამბობს, ცუდია თუ კარგი, **საბჭოთა მთავრობა მაინც არის ეხლა ერთად ერთი შესაძლო რევოლიუციონური ხელისუფლება (ЕДИНСТВЕННО ВОЗМОЖНАЯ РЕВОЛЮЦ. ВЛАСТЬ) და მის წინააღმდეგ ბრძოლა არის ხელის შეწყობა თავად აზნაურულ რეაქციის, რომლის საშიშროება ჯერაც არაა მოსპობილი. მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის (მე-2 ინტერნაციონალის. ა. რ.) მოვალეობაა ხელი შეუწყოს საბჭოთა მთავრობის ცნობასო".**

როცა ამას ვკითხულობ, უნებლიეთ მაგონდება ს. დევდარიანის უკანასკნელ წერილებიდან ერთი ადგილი სადაც ის ამბობს:

„რამდენჯერ მიგვრძნია თავი უბედურად, როცა კალამი გვეჭირა ხელში და მიწერია რაიმე ამ ძალა უფლების წინააღმდეგ. შევკითხებივარ ჩემს თავს:

—რა გინდა, კაცო, რომ იგინები? ჩამოვარდეს ეს მთავრობა?

—არა, ვამბობ, თუ რუსეთში არ ჩამოვარდა, აქ არ ჩამოვარდება.

—მერე ფაშიზმი, მონარქია?

—რა თქმა უნდა, არა, ვიცით რაც იქნება ფაშიზმი რუსეთში და რა ხეირს დაყრის რუსეთში გამარჯვებული მონარქია საქართველოს ისე აიწეწება და აწიოკდება ყველაფერი, რომ ბოლშევიკებთან ერთად მოგვიხდება ჩაძრომა იატაკ ქვეშ".

და თუ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რეაქციონური საქმეა, თუ საბჭოთა ხელისუფლება რევოლიუციონური ხელისუფლებაა, მაშინ ყველა ჩვენ მოვალენი ვართ გვერდში ამოუდგეთ ამ მთავრობას და მასთან ერთად ვებრძოლოთ ყველა შავ ძალებს.

ეს სთქვა სრულიად საქართველოს ყრილობაზე 17 ათასმა მუშამ და გლეხმა.

ამას ამბობს ეხლა ს. დევდარიანიც, ეს უნდა სთქვას აუცილებლად გრ. ლორთქიფანიძემ და სხვებმაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ მისულან 17 ათას მუშებთან.

სხვა გზა არაა ეს უნდა გაიგოს.

გრ. ლორთქიფანიძე მისაყვედურებს:

1921 წელს, 10 აპრილს, როცა ჩვენ ვიღებდით რეზოლიუციას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის შესახებ, რაც დიდი მსხვერპლი იყო ჩვენი პარტიის მხრიდან, მხოლოთ ა. რუხაძეს და ს. ფარნიევს ჰქონდათ დისონანსი ამ „შერიგების" დროსო.

ამხ. ფარნიევი ალბათ თვითონ გასცემს პასუხს გრ. ლორთქიფანიძეს ამ „დისონანსის" შესახებ.

პირადათ მე მართლა მქონდა დისონანსი ამ დადგენილების მიღებაში.

და აი რატომ. მე 10 აპრილის რეზოლიუცია მიმაჩნდა და მიმაჩნია სრულიად მიუღებლათ.

მე მაშინ განვაცხადე სიტყვით სიტყვით ს. დევდარიანის მოხსენების შემდეგ.

მე მართალი გითხრათ, უფრო მომხრე ვიქნები სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლის ბოლშევიკებთან, ვიდრე ასეთი გაურკვეველი გზის. ან სრული შერიგება მათთან, მიღება პროლეტარიატის დიქტატურის, ან ხელახლა ამოძრავება პარტიული აპარატის, თუ საჭირო იქნება იატაკ ქვეშ ჩასვლაც და სასტიკი ბრძოლაც. მიღება თანამშრომლობის, მისვლა მათთან ამ პრინციპით და ამავე დროს ლოლიაში ამოჩრა ფორმულის „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ" მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, ვინაიდან აქ არ არის გულწრფელობა და არის მხოლოდ წინააღმდეგობა აზრების.

მე მაშინ ვლ. ჯიბლაძემ, ამ ყრილობის თავმჯდომარემ, არც კი მაცალა ლაპარაკი.

დღეს კი თვით 10 აპრილის ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციის ავტორმაც დაინახა, რომ ეს რეზოლიუცია მართლაც მიუღებელი იყო წაიკითხეთ უკანასკნელი წერილები ს. დევდარიანის და იქ სრულიად ხაზგასმულია ფარყოფითი მხარეები ამ რეზოლიუციის.

ჩვენ რომ მეტი დაფიქრებული ვყოფილიყავით და უფრო გულდადებით შევეგებოდით შექმნილ მდგომარეობის შეფასებას, იქნებ მარცხს, თვით შეცდომას, რომელიც 10 აპრილს ჩავიდინეთ, ცხადია, თავიდან ავიცილებდით.

და ამასთან ერთად ავიცილებდით იმ აფარებელ მსხვერპლებსაც, რომელნიც მოუტანა საქართველოს მუშათა კლასს ჩვენმა ძველმა ტაქტიკამ.

10 აპრილის რეზოლიუციაში არავითარ ლოღიკას არ აქვს ადგილი.

არ სჩანს ლოღიკა არც გრ. ლორთქიფანიძის წერილში, როცა ერთი მხრით ამბობს, უნდა ყოველმხრივ მხარი დავუჭიროთ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ერთად ერთ რევოლიუციონურ ხელისუფლებას ხოლო მეორე მხრით გვისაყვედურებს, რად ვუჭერთ მხარს ამ მთავრობას, რად მივიღეთ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა თქვენ ყრილობაზე, როცა კომუნიზმი საერთოდ დამარცხებული არისო.

როგორც მთელს ჩვენს წინანდელ მუშაობაში ძალიან მწუხარებით ვუყავით ლოღიკასთან, ისე ყველა წერილებში და კამათში, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ ეწევიან მენშევიზმის ფანატიკოსები, არის სრული ულოღიკობა.

ა. რუხაძე.

რას აპირებდა მენშევიკური ცეკა

(მენშევიკ ვ. ხმალაძის გამომჟღავნებანი)

მენშევიკებს უნდოდათ მოეკლათ ამხ. სკლიანსკი, მოეტაცათ ფ. მახარაძე და ბ. მდივანი, აეფეთქებიათ კავ. საკომანდო სკოლა, გაეძარცვათ მატარებელი ფულის [illegible] ის 60 მუშაობდა ლაშქარაშვილისა და კასრაძის უშუალო [illegible] ერთად

(ნ. მეორე გვერდზე)

საფრანგეთის მოსყიდული და გახრწნილი ბურჟუაზიული პრესა

VII

„მომანადგურებელი დოკუმენტი" · მოსყიდვის სხვადასხვა წესი

„მე მიმაჩნია ეს დოკუმენტი გამანადგურებლათ მისი ავტორისათვის და მოწიწებით ვინახავ მას „საქმეებში"—ასე სწერს რაფალოვიჩი კოკოვცევს ერთ დოკუმენტზე 1905 წლის 15 თებერვალს.

დოკუმენტი მართლაც რომ გამანადგურებელია მისი ხელისმომწერისათვის. ეს ხელისმომწერია რაფალოვიჩის აგენტი ვერნეილი. ის უგზავნის წერილს რაფალოვიჩს, სადაც სწერია შემდეგი:

„ფულის გადამცვლელ აგენტების საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს არ მიიღოს გასანაღდებლათ და არ მოათავსოს პარიზის ბაზარზე რუსეთის ახალი სესხი, **თუ რუსეთის მთავრობამ არ აძლია პრესას თვიურათ სანამ ომი გაგრძელდება ორასი ათასი ფრანკი** გარდა იმისა, რასაც ის აძლევა ამ გაზეთებს ფინანსიური ბიულეტენებისათვის". ხელს აწერს: **დე ვერნეილ.**

აქ პირდაპირ ემუქრებიან მთავრობას: მიეცი გაზეთებს ფული, თორემ სესხის გასანაღდებლათ თითსაც არ გავანძრევთო.

არა ნაკლებ საინტერესოა წერილი, რომელსაც იგივე ავტორი უგზავნის უკვე პირდაპირ ვიტტეს, ნიკოლოზის მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს წერილის მიზანია დაშინებით ფული გამოტყუოს მთავრობას პრესისათვის. ის ეუბნება ვიტტეს სხვათაშორის: „...ომის დროს კაცს საშუალება გქონდეს ისარგებლო ასეთი ძლიერი ფულის ფონდით, რომლის მსგავს ვერსად ვერ ნახავ და გასწიო რისკი არა მარტო მისი დაკარგვის, არამედ საზოგადოთ კრედიტის დაკარგვის დიდი ხნით იმის გამო, რომ წვრილი კრედიტორები შეუძლია მოიცვას შიშმა!—ამაზე მეტი შეცდომა შეიძლება? და ასეთი რისკის გაწევა მაშინ, როდესაც ამ ფონდის და კრედიტის შესანარჩუნებლათ საკმაო იქნებოდა, საზოგადოებრივი აზრის განსამტკიცებლათ, დაგეხარჯათ პრესისთვის ორი თუ სამი მილიონი ფრანკი!.. დროა შეუდგეთ საქმეს... მე საჭიროთ მიმაჩნდა მომეწოდებინა თქვენთვის ეს გაფრთხილება. ღმერთმა ქნას არ დარჩეს ის „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"!

წერილს ხელს აწერს იგივე ვერნეილი.

ასე აშინებდა რუსეთის მთავრობას ფრანგული პრესა მისი ინტერესების დამცველის პირით, რომელიც იყო იმავე დროს შუამავალი კაცი მთავრობისა და ამ პრესის პატრონებს შორის. როგორც ცნობილია, პრესა მუდამ გამარჯვებული ე. ი. მოსყიდული, მოქრთამული გამოდიოდა.

როგორც ჩვენც აღვნიშნეთ მოსყიდვის ეს წესი მრავალფეროვანია. მაგალითად, მთავრობა აძლევს გაზეთებს ძვირფასიან განცხადებებს და ამნაირათ უჩნდება მათ შემოსავლის დიდი წყარო.

გარდა ამისა ფართოდ არის დაყენებული ფიქტიური ხელისმოწერის საქმე. ეს იმას ნიშნავს რომ მთავრობა ხელისმომწერი ხდება გაზეთების: ის იწერს რამოდენიმე ათას გაზეთს და იხდის ამისთვის, რასაკვირველია, განსაზღვრულ თანხას, ხელისმოწერის ფასს.

„ჩვეულებაშია" აგრეთვე სუბსიდიების დარიგება; მაგრამ ვინაიდან ეს ფორმა მოქრთამვისა მეტისმეტათ „უხერხულია" გაზეთისთვის, ის [illegible] სხვანაირათ, თუგინდ იმავე განცხადების სახით მიიღოს ის ქრთამი.

ამას გარდა, ეს თუ ის გაზეთი უშვებს სპეციალურ დამატებებს ილიუსტრაციებით ან სხვ. ეს სპეციალური ნომერი სავსეა ერთი გარკვეული მასალით, რომლის გამოქვეყნება სასარგებლოა ნიკოლოზის მთავრობისათვის, რაც განამტკიცებს რუსეთის პრესტიჟს ფინანსიურ ბაზარზე, ასწევს მის კრედიტს სესხიანი ქაღალდების მყიდველებში. მაგრამ ამას გარდა ბიუროკრატიულ მთავრობას ჰქონდა სხვა საშუალებაც მოეყიდა და თავისკენ „მიეზიდა" მისთვის გამოსადეგი მსახური ე. ი. ისეთი პირები, ურომლისოთ მთავრობას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა პრესაზე

ერთ ერთ თავის წერილში კოკოვცევისადმი რაფალოვიჩი თხოვს მას დასაჩუქრებულ იქნეს ერთი შუამავალი, ლეოთარი, „წმიდა—სტანისლავის" ორდენით „ამას გარდა—სწერს ის—მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის, მოგზაურობის დროს, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ **დაურიგებდეს ჟურნალისტებს და გაზეთების რედაქტორებს სხვადასხვა ჯვრებს, საჩუქრებს**".

მართლაც პეტერბურგში გადასწყვიტეს ლეოთარისთვის მიეცათ „სტანისლავი". ამას იმდენათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სჩანს, რომ თვით საზონოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი სწერდა ასეთი გადაწყვეტილების შესახებ რუსეთის საელჩოს პარიზში

ასეთ სამსახურს უწევდა თვითმპყრობელობას ბურჟუაზიული პრესა და იღებდა „გასამრჯელოთ" მილიონებს.

ნ.

პრესა

პარტიული დისკუსია და ჩვენი მტრები

დისკუსია პარტიაში მიმდინარეობს თავისი გზით, იღებს ხშირათ მწვავე ხასიათს, ეცილდება ხანდახან საზღვრებს, რომლებიც დადებული უნდა ექნეს მას პარტიისა და პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით.

რომ პარტიაში, შეიძლება აღმოჩნდეს შეცდომები და მუშაობის ძველი მეთოდები, რომლებიც ველარ ეგუებიან ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს, რომ პარტია იძულებული ხდება გადასინჯოს დროგამოშვებით თავისი სავალი გზა, მეთოდები და ფორმები მოღვაწეობის, რომ, დაბოლოს ყოველივე ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, აზრთა ხშირათ მწვავე შეჯახებები—სულ ყველაფერი ეს ბუნებრივია, სინამდვილის საქმეა და მას გვერდს ვერ აუხვევთ. მაგრამ, როგორც სამართლიანათ შენიშნავს მოსკოვის „პრავდა", ამასთან ერთათ

„...შეუძლებელია, დანაშაულობაა დავიწყება იმისი, რომ დაცული უნდა იქნეს ამ გამოსვლებში საჭირო პროპორცია".

ხოლო ასეთი პროპორცია ირღვევა ბევრგან. ზოგიერთები, გატაცებული კრიტიკით, როგორც ასეთით, იმდენათ ივიწყებენ პარტიის ინტერესებს, იმდენათ ჰკარგავენ, ასე ვსთქვათ, მასშტაბს, რომლითაც უნდა მიუდგეს გასარჩევ საკითხებს ყველა პარტიის მოყვარული წევრი, რომ ეს კრიტიკა ჰკარგავს საქმიან, პარტიისა და მუშათა კლასის ინტერესებით ნაკარნახევ ხასიათს და ხშირათ გადაიქცევა ფაქტიურათ არსებული პარტიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად, რომელსაც იყენებენ მტრები პროლეტარიატისა და რევოლიუციის.

გაზ. „პრავდას" მოჰყავს საინტერესო ნიმუშები იმ იმედების რომლებსაც იწვევს წრეს გადასული კამათი და ზოგი ამხანაგების გამოსვლები უცხოეთში მყოფ მენშევიკებში. მათი ორგანო, „სოც. ვესტნიკი" იმედოვნებს, რომ კამათი დემოკრატიის შესახებ გასცილდება პარტიის საზღვარს და სახელმწიფოებრივი მასშტაბით დადგება საკითხი დემოკრატიზე გადასვლის და დიქტატურის გაუქმების შესახებ.

აი რა „უაზრო ილუზიები" „უხიცინებს" თავში ამ „ბალღებს".

რას ნიშნავს ეს?—კითხულობს „პრავდა"

„ეს ნიშნავს იმას, რომ მენშევიკურ მოშხიკებს ისე უნდათ გაზვიადონ და გაბერონ დემოკრატია, რომ ის გადასცდეს პროლეტარული პარტიის ფარგლებს და რამოდენიმე საფეხურის გავლის შემდეგ გამოყენებული იქნეს **ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხელმწიფოს პრინციპებზე გადასახვლელათ**".

ამაზე „პრავდა" სწერს:

„პარტია იყო და იქნება ძლიერი თავის რკინის პროლეტარული დისციპლინით (ლენინს ეკუთვნის ეს სიტყვები). პარტია ამაღლებს თავის დონეს, მაგრამ ის არასოდეს არ დასთმობს მუშათა კლასის მოსისხლე მტრებისათვის შინ შესაძრომ [illegible]".

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ინგლისი „მუშათა მთავრობის" მოლოდინში

მაკდონალდის სიტყვის შემდეგ: ბურჟუაზიული პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს მაკდონალდის სიტყვის გამო. მათ სავსებით მისაღებად მიაჩნია მუშათა პარტიის პროგრამა.

ზოგიერთი გაზეთები მაკდონალდს ადარებენ კერენსკის და ეჭვობენ, რომ ის შესძლებს თავისი პარტიის გაჩერებას ზომიერების კალაპოტში.

საერთო მდგომარეობა: ლიბერალური პრესა აგონებს მაკდონალდს იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომლებიც უნდა განახორციელოს მუშათა პარტიამ.

მაკდონალდის სიტყვის შემდეგ

ბურჟუაზია კმაყოფილია მაკდონალდით.

ლონდონი. 9 იანვარი. ბურჟუაზიული პრესა ძლიერ კმაყოფილია მაკდონალდის სიტყვით და მიუთითებს, რომ თუ ის მოახერხებს სახელმწიფოს მართვას იმავე ზომიერებით, როგორითაც შედგენილია მისი სიტყვა, ინგლისისათვის ეს უეჭველად უფრო სასურველი იქნება.

„ივნინგ ნიუზ" მაკდონალდს ადარებს კერენსკის და ეჭვს გამოსთქვამს, რომ მაკდონალდმა შესძლოს თავისი პარტიის ზომიერების ფარგლებში შეჩერება. გაზეთი მიუთითებს, რომ მუშათა პარტიის წევრები რევოლიუციონური მოქმედების მომხრე არიანო.

„დეილი ექსპრეს" მაკდონალდს მეოცნებეს უწოდებს და ახსენებს საზოგადოებას, რომ ლოიდ-ჯორჯი დაისაჯა, როცა გამოერკვა ოცნებიდან.

ლიბერალური პრესა მოაგონებს მაკდონალდს იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც მოელის მას თავისი პროექტების განხორციელების დროს.

საერთო მდგომარეობა

უთანხმოება გადადგომის წინ.

ლონდონი. 11 იანვარი. „დეილი ნიუზ"-ის ცნობით, კაბინეტის სხდომაზე, რომელიც გაგრძელდა სამი საათი, თავი იჩინა უთანხმოებამ მეფის სიტყვის გამო.

ზოგიერთი მინისტრები მოითხოვდენ „კონსერვატიზმის დროშის მაღლა აწევას"; დანარჩენები იმ აზრს იცავდენ, რომ არ ყოფილიყო მიღებული მოქმედების პროვოკაციული ხაზი.

ინგლისის ამბების გამოძახილი

საფრანგეთის პრესა მუშათა კაბინეტის შესახებ.

პარიზი. 10 იანვარი. ალბერტ-ხოლლეში მაკდონალდის მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო „ლიბერტე" სწერს: „თავის სიტყვაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის არ იწონებს ბოლშევიკურ სისტემას. მაგრამ კერენსკი და თავადი ლვოვიც ხომ ჰკიცხავდენ ამ სისტემას, და საჩქაროდ მათ გაუღეს კარები ლენინს".

„ტანი" აღტაცებულია, რომ მაკდონალდმა ახსენა საფრანგეთი პირველად იმ ერთა შორის, რომლებთანაც მას სურს იქონიოს ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ამერიკაში: ძლიერდება კამპანია პრესაში საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ჩეხო-სლოვაკიაში: აგრარიების ორგანო დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას, კლერიკალებიც მოითხოვენ გულწრფელ დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან.

ინგლისში: მუშათა პარტიის სხდომაზე მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის არცნობა დიდი სიბეცეაო.

პოლონეთში: მოხდა გასულ წელში საბჭოთა კავშირთან დადებულ სანიტარულ კონვენციის გაცვლა-გამოცვლა. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დაჭერას.

ინგლისში.

საბჭოთა კავშირისათვის ანგარიშის არ გაწევა უგნურებაა.

ლონდონი. 9 იანვარი. ინგლისის მუშათა პარტიის კრებაზე მაკდონალდმა, შეეხო რა რუსეთის საკითხს, სთქვა: ჩვენ ბოლოს მოუღებთ საბჭოთა კავშირისათვის ანგარიშის არგაწევის უგნურ, თავხედურ პოლიტიკას: საბჭოთა კავშირის შინაური პოლიტიკა ჩვენ არ გვეხება. მე მინდა ვიცოდე, როდის იყო, რომ ლიბერალური ან კონსერვატორული მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოებს უკარნახებდენ მოქმედების ხაზს. მე მსურს ვაჭრობის აღდგენა, მოლაპარაკება და სიწყნარე იაპონიიდან ირლანდიის ნაპირებამდე. განა შესაძლებელია საბჭოთა კავშირთან სადაო საკითხების მოგვარება შუამავლების საშუალებით? ჩვენ ვიქნებით მუშათა მთავრობა, ჩვენ გავატარებთ პრინციპებს, რომლებიც ისტორიული გახდენ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს პრაქტიკაში.

მუშათა მთავრობა იცნობს საბჭოთა კავშირს.

ლონდონი. 9 იანვარი „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ინგლისის მუშათა პარტის მრავალმა წევრმა განაცხადეს, რომ მუშათა მთავრობის პირველი ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირის ცნობა. მუშათა პარტიის ერთმა დეპუტატმა განაცხადა: „თებერვლის დამლევს მოსკოვში ინგლისს ახალი ელჩი ეყოლება"-ო.

ამერიკაში

თეთრგვარდიელები აშინებენ.

ლონდონი, 9 იანვარი. თეთრგვარდიელების გაზეთში „პოსლედნიე ნოვოსტი" გამოქვეყნებულია მოწოდება კულიჯისა და მუსოლინისადმი. მოწოდებაში „რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური საბჭო" აცხადებს, რომ „საბჭოთა მთავრობის მიერ გაცემული კონცესიები არ იქნებიან ცნობილი იმ მთავრობის მიერ, რომელიც დაიჭერს ბოლშევიკების ადგილს.

ჩეხო-სლოვაკია

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

პრაგა, 9 იანვარი. აგრარული პარტიის ორგანო „ვენკოვ" დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას და ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთი აწარმოებს პოლიტიკას, რომელიც სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩეხო-სლოვაკიის ინტერესებს.

სლოვაკელი კლერიკალები აგრეთვე მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან დაახლოებას.

პოლონეთში.

პოლონელი პანები ფრონტს იცვლიან.

ვარშავა. 9 იანვარი. ინგლისში მუშური მთავრობის შეცვლა გამოიწვევს ლონდონში პოლონეთის ელჩის სკირმუნდის გამოწვევას, რადგან ეს უკანასკნელი კონსერვატორებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ახალ ელჩად ასახელებენ სკრჟინსკის.

პოლონური პრესა აღნიშნავს ყველა ფაქტებს, რომლებიც ახასიათებენ ინგლისის პოლიტიკის შეცვლას რუსეთის მიმართ. „რაბოტნიკ" უარყოფს თითქოს პოლონეთს აგრესიული მიზნები ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მიმართ.

რუსეთ-პოლონეთის სანიტარული კონვენცია.

ვარშავა. 9 იანვარი მოხდა შარშან დადებულ რუსეთ-პოლონეთის სანიტარულ კონვენციის დამტკიცება ორივე სახელმწიფოების მიერ.

გერმანიის მთავრობის „გაერთიანების" პოლიტიკა

სეპარატისტული მოძრაობა ფართოვდება.

მუშათა მოძრაობა: მუშათა მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს. მწარმოებლები განაგრძობენ ზოგიერთ დარგში გაფიცულ მუშების დათხოვნას.

დაპყრობილ ოლქებში: რეინის ოლქში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. უმუშევრებმა დაიჭირეს რამოდენიმე წარმოება და დაითხოვეს შტრეიკბრეხერები.

მაგდებურგის მწარმოებელთა მოთხოვნას სამუშაო დღის გადიდების შესახებ—მელითონეებმა უპასუხეს გაფიცვით.

საერთო მდგომარეობა: საქსონიის ლანდტაგის (პარლამენტის) კომფრაქციამ შეიტანა წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

სეპარატიული მოძრაობა

პფალცის მთავრობის პრეზიდენტის მოკვლა.

ბერლინი 9 იანვარი, შპეიერში რესტორანში მოჰკლეს პფალცის სეპარატისტული მთავრობის პრეზიდენტი გეინცი—ორბისი და სეპარატისტების 5 სხვა ბელადი. მკვლელები რევოლვერებიდან სროლის ატეხის შემდეგ მიიმალენ. მოკლულებს გარდა არის რამოდენიმე მძიმეთ დაჭრილი. საოკუპაციო ხელისუფლება და პოლიცია სასტიკად იძიებს საქმეს.

წამქეზებელნი—ბავარიელი ფაშისტები არიან.

ბერლინი. 9 იანვარი. სეპარატისტების დემონსტრაციის დროს შპეიერში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება დემონსტრანტებსა და მცხოვრებლებს შორის. მოკლულია 5 კაცი, მძიმეთ, დაჭრილია მრავალი. სეპარატისტულმა მთავრობამ მძევლებათ წაიყვანა 5 გერმანელი მოხელე.

საერთო აზრი ისეთია, რომ სეპარატისტების ყველა ბელადების მოკვლა მოწყობილია ბავარიის ფარულ ფაშისტურ კავშირების მიერ.

ბავარიის პროკურატურამ მკვლელობის მოხდენის წინა დღით ბრძანება გასცა სეპარატისტების ბელადების დაპატიმრების შესახებ სახელმწიფო ღალატისათვის სეპარატისტებიც ამზადებენ გამოსვლას.

დაპყრობილ ოლქებში

მასიური უკმაყოფილება.

ბერლინი. 9 იანვ. რეინის ვესტფალიაში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. უმუშევრებმა დაიკავეს რამოდენიმე წარმოება და გარეკეს შტრეიკბრეხერები.

კელნში ხდება მუშების მასიური დათხოვნა. დიუსბურგში იმართება უმუშევრების მასიური დემონსტრაციები.

მუშაობის შეწყვეტა ლითონის სამრეწველოში.

ბერლინი. 9 იანვ. მაგდებურგის რაიონში მუშაობა შეწყდა ლითონის სამრეწველოში, მწარმოებლების მიერ სამუშაო დღის გაგრძელების მოთხოვნის გამო.

მუშათა მოძრაობა.

ბერლინი. 9 იანვ. მელითონეების კავშირის საოლქო კონფერენციამ ბოხუმში 26 ხმით წინააღმდეგ 10 ხმისა გადაწყვიტა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება.

კრეფელდში, ფოლადის ქარხნის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. განაპირა ადგილების გლეხებმა, რომელთა სამუშაოზე გამოყვანა მოინდომა ადმინისტრაციამ, უარი სთქვეს მუშაობის დაწყებაზე.

ფირსენში შეწყდა მუშაობა ლითონის და საფეიქრო მრეწველობაში. აახენში და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები ბრძოლას აწარმოებენ სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ და სამუშაო დღის გადიდების შემთხვევაში ფიქრობენ წარმოების ხელში ჩაგდებას.

საერთო მდგომარეობა

საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრი

ბერლინი. 9 იანვარი. საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრათ დაინიშნა დეპუტატი—სოციალ-დემოკრატი მიულლერი.

დატუსაღებანი და მკვლელობანი პალატინატში.

ბერლინი. 11 იანვარი. სახელმწიფო პროკურორმა ვიურცბურგში 10 იანვარს ბრძანება გასცა დატუსაღებულ იქნენ პალატინატში 19 სეპარატისტული ლიდერი, რომელთაც ბრალდებათ სახელმწიფო ღალატი; ამ დანაშაულისათვის, თანხმად წარსულ წელში ბავარიაში გამოქვეყნებულ დეკრეტისა, მათ მოელით სიკვდილით დასჯა. ერთ ერთი ამ ლიდერთაგანი ჰეინცე მოკლული იქნა შპეიერში, რესტორანში. მკვლელი მიიმალა.

ბერლინი. 11 იანვარი. ჰეინცეს მოკვლის შემდეგ, რომელიც მოხდა ოთხშაბათს, სეპარატისტებსა და მოსახლეობის შორის ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეტაკებებს. მოკლულია სეპარატისტთა 5 ლიდერი, მათ შორის ორდისი; დანარჩენები მძიმეთ არიან დაჭრილი. პალატინატის ეგრეთ წოდებულმა ავტონომიურმა მთავრობამ მძევლების სახით დაატუსაღა 7 გერმანელი მოხელე და იურისტები და ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ სასტიკი კონტროლი გაუწიონ პასპორტებს. მთელს პფალცში პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა მთავრობის შენობებში. მოსალოდნელია ახალი არეულობა და ტერორისტული აქტები.

პარიზი. 11 იანვარი. პალატინატის სეპარატისტების ლიდერის ჰეინცეს მოკვლამ დიდი აღელვება გამოიწვია რეინლანდის სეპარატისტულ წრეებში, რომლებმაც იციან, რომ გერმანიაში დაარსდა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული რეინლანდის სეპარატისტულ მოძრაობის ლიდერების მოკვლა.

„ახალი პროლეტარული" პარტია.

ბერლინი 9 იანვარი. ლედებურმა გამოაქვეყნა პრესაში ცნობა ახალი პროლეტარული მთლიანი პარტიის შექმნის განზრახვის შესახებ.

მუშათა მოძრაობა

ბელადების წინააღმდეგ.

ბერლინი. 10 იანვარი კრეფელდში, პროფესიონალური ბიუროკრატიის დაუკითხავად, მუშების და უმუშევრების კრება მიემხრო გაფიცვას. პოლიციამ დაიკავა წარმოებები. მუშები მოითხოვენ პოლიციის გაძევებას.

რევოლუციონური ნაბიჯი

ბერლინი 10 იანვარი. გეტინგენში მუშებმა შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე თავის ნებით. ჰელზენკირხენში უმუშევრებმა მოხსნეს მუშები წარმოებებიდან 8 საათის სამუშაო დღის შემდეგ. მუშებმა უარჰყვეს მწარმოებელთა წინადადება სამუშაო დღის გაგრძელებისათვის რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ.

კრუპპის წარმოებებში ჯერ რჩება რვა საათის სამუშაო დღე.

პოლონეთის ამბები

მარკის კურსის დაცემა.

ვარშავა. 9 იანვარი. პოლონეთის მარკის კურსი ეცემა. დოლარი 6 ნახევარ მილ. მარკიდან ავიდა 11 ნახევარ მილ. მარკამდე.

ლოძის ტრამვაი.

ვარშავა. 9 იანვარი. ლოძის ტრამვაის დირექცია, ზარალის გამო, ახლო მომავალში შესწყვეტავს ტრამვაის მოძრაობას. უმუშევრობა იზრდება. ვიძევის მანუფაქტურის მუშები გააფრთხილეს იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში მოხდება წარმოების შემცირება.

პილსუდსკის დაბრუნება ჯარში.

ვარშავა. 9 იანვარი. პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ უარყო სამხედრო მინისტრ სოსნოვსკის შუამდგომლობა პილსუდსკის გენერალურ შტაბის უფროსათ დანიშვნის შესახებ, მაგრამ მან წინადადება მისცა პილსუდსკის დაიკავოს ჯარის გენერალურ ინსპექტორის თანამდებობა. „რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ პილსუდსკის დაბრუნება ჯარში თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით უდრის მობილიზაციის გამოცხადებას.

იაპონიის ამბები

გლეხთა მღელვარება.

ტოკიო. 10 იანვარი. ხიოგამაში მოხდა გლეხების ფართო აჯანყება. გლეხებმა დაანგრიეს მემამულეების რამოდენიმე სახლი. დაპატიმრებულია 13 მეთაური.

მღელვარება ფართოვდება.

ტოკიო. 9 იანვარი. სინოტამაში 400 გლეხმა ალყა შემოარტყა საპოლიციო უბანს და მოითხოვა მღელვარების დროს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. დაარბიეს მემამულეების სახლები. პოლიცია აცხადებს, რომ მღელვარება გამოწვეულია სუი-ხეი-სოს წაქეზებით.

საფრანგეთი და ოსმალეთი

ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

პარიზი. 9 იანვარი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი პრესა „ტან"-ის მეთაურობით მოითხოვს ლოზანის ხელშეკრულების დაუყოვნებლივ რატიფიკაციას. მსხვილ ფინანსისტთა სააგენტო „კაპიტალი" აღნიშნავს, რომ ოსმალეთის ფინანსები ჯერ არ არის იმდენათ მტკიცე, რომ ოსმალეთმა სერიოზული ვალდებულება იკისროს ვალების საკითხში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაციით საფრანგეთი გაამაგრებს ოსმალეთის რესპუბლიკას, რომლის შერყევას ლამობს ინგლისი; ამგვარად რატიფიკაცია შეასუსტებს ინგლისის გავლენას ოსმალეთში.

„ეკო-დე-პარი" და „ჟურნალ დე-დება" მოითხოვენ ოსმალეთში არსებულ ფრანგულ სკოლების და ვალზე პროცენტების გადახდის საკითხების მოწესრიგებას და აგრეთვე სირიის საზღვრების საბოლოოთ გამორკვევას მანამდი, ვიდრე მოხდებოდეს ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ამინდი ევროპაში და ამერიკაში

ქარ-ბუქი.

ბერლინი. 11 იანვარი. მთელს ინგლისში მძვინვარებს ქარბუქი. ნამქრის გამო რამდენიმე მატარებელი დაიმსხვრა. ლამანშში გრძელდება ქარიშხალი; დაიღუპა მრავალი გემი. საჰაერო მიმოსვლა კონტინენტთან შეწყდა.

მთელი ბალტიის ზღვა გაიყინა. კატტეგატში გასვლა, მრავალ მცურავ ყინულების გამო, საშიში გახდა.

პარიზი. 11 იანვარი. ატლანტიის ოკეანეს ნაპირზე მძვინვარებს არაჩვეულებრივი ციკლონი. ტალღების მიერ დაშლილია დიუნები სულაკში, ბიარრიცში და სხვაგან იღუპება მრავალი გემები. შეერთებულ შტატებში გრძელდება სასტიკი ყინვები; გაიყინა მრავალი.

სხვადასხვა

საბერძნეთი

ვენიზელოსი—გარეშე საქმეთა მინისტრათ.

ბერლინი. 11 იანვარი. ვენიზელოსმა, რომლის ჯანმრთელობა ეხლა უკვე გამოკეთდა, თანხმობა განაცხადა მიიღოს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

დანგლისის კაბინეტი

ლონდონი. 11 იანვარი. ათინიდან მიღებულ ცნობით, დანგლისს დაევალა კაბინეტის შედგენა ლიბერალების, კონსერვატორების და ვენიზელოსისტებისაგან.

მცირე ანტანტა.

კონფერენციის გახსნა.

ლონდონი. 11 იანვარი. ბელგრადში გაიხსნა მცირე ანტანტის კონფერენცია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ქარიშხალის შედეგები.

სიმფეროპოლი. 11 იანვარი. ქარიშხალმა დიდი ზიანი მიაყენა იალტას. ნიკიტის რაიონში დააზიანა ბევრი ტროპიკული ხეები ბოტანიკურ ბაღისა. ქვედა მასანდრისა და ალუპკინის პარკიც საშინლად დააზარალა. იალტა სევასტოპოლის გზატკეცილზე მიმოსვლა ერთის თვით შესწყდა. იალტაში 200-მდე სახლი დაინგრა. საერთო ზარალი მილიონ მანეთობითაა ოქროთი.

ჩვენი მრეწველობის საერთო მდგომარეობა.

მოსკოვი. 11 იანვარი. მოსკოვში გაიხსნა რ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ამხ. ბოგდანოვმა მოხსენება გააკეთა ჩვენი მრეწველობის საერთო მდგომარეობის შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების სფეროში წარსულ წელში ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. შუშის მრეწველობაში მუშების შრომის ნაყოფიერებამ მიაღწია ომამდის არსებულ ნაყოფიერების 70—80 პროც., საფეიქრო მრეწველობაში 70 პროც. და ტყავის მრეწველობაში—97 პროც. საშუალოთ მთელს საბჭოთა კავშირში შრომის ნაყოფიერება უდრის ომამდის არსებულ ნაყოფიერების 60 პროცენტს. პარალელურათ იზრდებოდა შრომის ხელფასიც, რომელმაც ოქტომბერში მიაღწია ომამდის არსებულ ხელფასის 68 პროც. წარსულ წელთან შედარებით, მრეწველობის ნაყოფიერება გაიზარდა ერთნახევარჯერ და მიაღწია ომამდის არსებულ ნაყოფიერების 33 პროც. ქვანახშირის მრეწველობის პროდუქციამ მიაღწია ომამდის არსებულ პროდუქციის 37 პროც., ნავთის პროდუქციამ—40 პროც., ლითონის მრეწველობის პროდუქციამ—13 პროც., ბამბის—27 პროც., სელის—83 პრ., ტყავის—32 პროც. და რეზინის—50 პროც. საფაბრიკო მრეწველობის ნაწარმოებებზე ფასების დაკლების სფეროში ჩვენ მივაღწიეთ საზღვარს და ფასების შემდეგი დაკლება ამჟამად შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდებოდა საქონლის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში.

მენშევიკების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრები, რომელიც № 2 გამასწორებელ სახლში ვიმყოფებით ვიღებთ რა მხედველობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის „მოღვაწეობას", რომელიც მიმართულია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, რომლის მუშაობამ მშრომელი ხალხი მისი სურვილის წინააღმდეგ დაქსაქსვამდი და დასუსტებამდი მიიყვანა, ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და მის საქმიანობასთან.

ჩვენ, როგორც მშრომელები და მქონებელ კლასების მიერ დაჩაგრულები, დღეს დავრწმუნდით, რომ ჩვენი ინტერესების ერთად-ერთი დამცველი არის კომუნისტური პარტია და მის მიერ შექმნილი მუშურ გლეხური ძალაუფლება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებიდან სამი წელიწადი გავიდა და ეს დრო საკმაო იყო ჩვენთვის, რომ დაგვენახვა ის წარმატება, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობის საქმეში.

ზურგს ვაქცევთ რა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ჩვენ ფიცს ვდებთ, რომ მთელი ჩვენი არსებით ხელს შეუწყობთ საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში ამოუდგებით მას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ვიბრძოლებთ მის დასაცავად და გასამაგრებლათ. მთელი ქვეყნის მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩვენ ომს ვუცხადებთ საერთაშორისო რეაქციას—ფაშიზმს, რათა გაერთიანებულმა მშრომელმა ხალხმა ბოლო მოუღოს ამ რეაქციას და აღმართოს ყველგან სოციალიზმის საერთაშორისო წითელი დროშა. ამ გზას დიდი ხანია დაადგა ყოფილ მენშევიკების კონფერენცია, ესევე დაადასტურა თავისი გამოსვლით სეით დევდარიანმა, რასაც ჩვენ ვთვლით მოწოდებათ პარტიის სხვა წევრებისადმი: განთავისუფლდენ ყოველგვარი ორპირობისაგან და გულწრფელად შეუერთდენ მშრომელი ხალხის გულიდან ამოხეთქილ ხმას. ამ მოწოდებას ჩვენ სავსებით მიზანშეწონილათ ვთვლით და ეს იწვევს ჩვენში გულწრფელ გამოხმაურებას, ამიერიდან ჩვენ გულწრფელად ვურთდებით ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დადგენილებებს და ვდგებით მის მიერ მიღებულ პლატფორმაზე.

ვხელმძღვანელობთ რა ყველა ზემოთ-თქმულით, ჩვენ მეტეხში მყოფნი პატიმრები, ვითხოვთ ამხ. ფარნი[illegible] [illegible] დას[illegible] გამოცხადებამდე, რათა ჩვენ შესაძლებლობა [illegible] შევუერთდეთ საქართველოს მშრომელ ხალხს მუშაობაში საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლათ და განსამტკიცებლათ.

1. დათაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე, 2 თათიშვილი ილია, 3. მაისურაძე შაქრო, 4. ვასილ მანჯავაძე, 5. იოსებ შახნაზაროვი, 6. ივანე კანდელაკი, 7. ვლადიმერ ნანაძე, 8. მიხა ანანიაშვილი, 9 ივანე ჯაბუა, 10. პლატონ გარსევანაშვილი, 11. პლატონ ჩიჩუა, 12. ალექსანდრე ლლონტი, 13 ნიკა დვალიშვილი, 14. ზურაბ დათაშვილი, 15 ილია ჩაგელია. 16. სიკო ელბაქიძე, 17. ივანე რომელაშვილი, 18. კოლია ჯაგენიშვილი, 19. ივანე ხუცინაშვილი, 20. თიულიშვილი ივანე, 21. სოლომონ ელბაქიძე (თანამგრძ.), 22. დავით ციციშვილი, 23 გრიგოლ ლომიძე, 24. ივანე ბრობელი, 25. ბაგრატ შაიძე, 26. ლენტო რაზმაძე, 27. სანდრო კასრაძე, 28. ლადო ნეჟარიძე, 29. იოსებ კობალაძე 30. ილია ნემსაძე, 31. სანდრო მაისურაძე, 32 ნიკოლოზ მჭედლიძე, 33 გაბო დოიჯაშვილი 34. გუცა ჩიტაძე, 35. იგორ გიუნაშვილი, 36. რაჟდენ ბაბუციძე, 37 ლადო მეტრეველი, 38. ფიდა ბატიაშვილი, 39 აბრამ დოჯაშვილი, 40. ილიკო ნასყიდაშვილი, 41 დავით შათირიშვილი, 42. ნესტორ გიუნაშვილი, 43 იასონ ოტიაშვილი, 44. სანდრო ჯოხაძე, 45. კოტე გოგოშვილი, 46 დავით ბაბუციძე, 47. შაქრო ჩლაჩიძე, 48. გიორგი დოიჯაშვილი, 49. პეჩებიძე, 50 ალექსანდრე დავითაშვილი, 51. ევგენი ხორხუაშვილი, 52. შაქრო გიგაშვილი, 53. ილია ჯოქიშვილი, 54 გიორგი ბიროზაშვილი, 55. თომ მოსიაშვილი, 56 ალექსი ბერგიშვილი, 57. ლაზარი პაპაშვილი, 58 კოლია ელიოზაძე, 59 ვასო რბზმიაშვილი, 60. გიორგი კარკუზაშვილი, 61. პეტრე გერგემლიძე 62. დავით ჩიკვაიძე, 63. დათა თენაძე. 64. ვანო ლომიძე, 65 გაბრო ლოთიშვილი, 66. მიხაილ ონიაშვილი, 67. პავლე გიგაშვილი, 68 ერმილე ჩხეიძე, 69. ჯიგიაძე კონსტანტინე, 70. ევგენი ფაცლენიშვილი, 71. ილარიონ ეგია, 72. ვასილ ლაზარაშვილი, 73 ვასილ თოდაძე, 74. პავლე ჯავახიშვილი, 75 შაქრო მაღალდაძე, 76 პანტო სიმონიშვილი, 77 ტატე დუდაშვილი, 78. დავით გუბაშვილი, 79. ევგენი მაქსიმეს ძე ნაჭყებია, 80. ალექსანდრე დიმიტრის ძე ჭანკოტაძე, 81 პ. გ. ეფრემიძე, 82 ნ. ლივანის ძე ჩიჩუა, 83. ზ. კ. შებეტიძე.

მენშევიკის წერილი

ნიღაბი მოვიხსნათ!

ჩავედი ბორჯომში 22 წ. 27 მაისს. წინა დღით თურმე ინტელიგენტების და მუშათა პატარა ჯგუფი შეეცადა მოეწყო „ჩვენი დღესასწაულის—26 მაისის" გამო საპროტესტო მიტინგი ეროვნული დროშით. მიტინგის გახსნა მიანდვეს ძველ ებრძოლ რევოლუციონერს მუშა არშაკ რ—ას, ხოლო დროშის აფრიალება მინდობილი ჰქონდა ჩემს დას თიკოს (ამ ჟამად გარდაცვალებულია—ის თანაუგრძნობდა ფედერალისტებს) ბორჯომში მაშინ დაბანაკებული იყვნენ კავკასიის 2-ე საკომანდო სკოლის კურსელები. ეს მხედველობაში მიიღეს ჩვენმა ინტელიგენტმა ამხანაგებმა. წინასწარ ისინი სადღაც გაემგზავრენ. ჩვენი არშაკი კი, რომელიც ძალიან უყვარდათ ბორჯომის რაიონის მუშებს, დასტოვეს მარტოკა. მიტინგი რა თქმა უნდა არ შესდგა. ხელმძღვანელებმა სამართლიანად დაიმსახურეს არშაკის საყვედური, რომელიც არა ერთხელ ეუბნებოდა მათ: „ჩვენ, მუშებს გვაქეზებთ, და თქვენ თვითონ გარბიხართო". ამ ჟამად არშაკი არის ერთ ერთი გამოჩენილი მუშაკთაგანი, რომელიც დადგა ყოფ. მენშევიკების ყრილობის მიერ მიღებულ პლატფორმაზე. ჩემ ბორჯომში არ ყოფნის დროს თუ რა კეთდებოდა ჩვენი პარტიული მუშაობის ნიადაგზე, მე არაფერი არ ვიცი. ჩასვლის შემდეგ კი ადგილობრივმა ამხანაგებმა წინადადება მომცეს ჩამებარებია სამეულის მუშაობის ხელმძღვანელის პორტფელი. მე უარი ვსთქვი ავადმყოფობის გამო და მართლაც მე არ ვიყავი კარგად. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მოკლე ხნის განმავლობაში ქარბუქში, ყინვასა და სიცივეში მე რამდენჯერმე მომიხდა უღელტეხილ „ლომის მთაზე და შქმერზე" გადასვლა. ტანისამოსი არ მქონდა, ხშირად მშიერი ვიყავი, და ყველაფერ ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ჩემ ჯანმრთელობაზე. ბორჯომის ამხანაგების უმრავლესობის და მცხოვრებთა ერთი ნაწილის სულიერი განწყობილება ძალიან დაცემული იყო. ყველა მოელოდენ გენუას კონფერენციიდან „ცის მანანას", მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დაიწყო ლაპარაკი ლოზანას კონფერენციის შესახებ, რომელსაც უკავშირებდენ საქართველოს ბედს იმ მხრივ, რომ თითქოს ეს კონფერენცია გაიყვანდა მოსკოვის წითელ არმიას, დააბრუნებდა ახლო მომავალში დემოკრატიულ მთავრობას და სხვა. ჩვენი პარტიის ქვედაფენების და საქართველოს მეშჩანების სულიერ განწყობილების განსამტკიცებლად ავრცელებდენ ათასგვარ ჭორებს და სიყალბეს. და ყველაფერი ეს ხდებოდა ჩვენი არალეგალური ცეკას, მის ახლო თანამშრომლების და მათ შორის ჩემი ლოცვა-კურთხევით. თუ დიდი სეითი გახდა მსხვერპლი იმედების, რაღა უნდა ითქვას ჩვენზე, მასაზე. ცეკისტები ხომ, როცა სამუშაოთ გვაგზავნიდენ, გვარწმუნებდენ ამ იმედების სიმართლეში. ამგვარად ჩვენი თვალები ბრმავდებოდა მრავალ იმედების სათვალეებით და ჩვენ ჩვენის მხრივ ასეთივე იმედებით უბრმავებდით თვალებს მორწმუნე მასას. ივნისში მე უმოქმედობაში ვიყავი. პარტიულ მუშაობაში მონაწილეობას არ ვიღებდი.

მაგრამ ივლისში (არ მახსოვს რომელ რიცხვებში) მე მივიღე ტფილისიდან დეპეშა ცეკას რწმუნებულის გენო ზელტაძესაგან, რომელიც იყო ინსტრუქტორად საქართველოს პარტიულ და სამხედრო ორგანიზაციებისა. დეპეშით მატყობინებდა ჩემს დაუყოვნებლივ ტფილისში გამგზავრების შესახებ. დეპეშაში აღნიშნულ მისამართით მე მივაგენი ის და ერთად გავემგზავრეთ ანანია სალუქვაძესთან, რომელიც ავადმყოფი იწვა საწოლში. მას ექიმობდა იოსებ ცინცაძე, რომელიც უკვე არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. გამომკითხეს საქმის მდგომარეობის, პარტიულ მუშაობის, ამხანაგების და სხვ. შესახებ. ერთი სიტყვით იწყება ახალი ისტორია. თუ წინად ლაპარაკობდენ ანტანტაზე, რომელიც ვითომდა აჯანყების დროს გამოგზავნიდა რეალურ დახმარებას, ეხლა უკვე ალაპარაკდენ ოსმალეთზე, რომელსაც ანტანტამ ლოზანის კონფერენციის სასურველ დასრულების პირობად დაუყენა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა საქმე ამნაირად ყოფილა: ლოზანას კონფერენცია დაიწყებოდა შემოდგომაზე, განიხილავდენ საქართველოს საკითხს, დაჟინებით და მუქარით მოსთხოვენ მოსკოვის მთავრობას ჯარების გაყვანას — წინააღმდეგ შემთხვევაში ამიერ - კავკასიის გაწმენდას მიანდობდენ ოსმალეთს, რომელსაც ჰპირდებოდენ ზოგიერთ დათმობას საზავო მოლაპარაკების დროს. აქ კი, საქართველოში, რათა მოემზადებიათ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, დაერწმუნებიათ იგი იმაში, რომ ქართველ ხალხს არა სურს საბჭოთა ხელისუფლება, საჭირო იყო ანარქიულ პირობების შექმნა და იმათთვის, კი, ვინც უკვე ქმნიდენ ამ ანარქიას, ე. ი. ბანდებისათვის ხელის-შეწყობა. ეს პირობები ჩამოყალიბდენ რეალურ ფორმებში. მოიგონეთ ჩოლოყაშვილის, გვერდწითელის ბანდების გამოსვლა დუშეთის მაზრაში და კახეთის სხვა ადგილებში, მატარებლებზე თავდასხმანი, კომუნისტების მოკვლა კასრაძის ბანდების მიერ გორის მაზრაში და სხვა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ყოველ ძალღონით სახელი გაეტეხათ ხელისუფლებისათვის. ცეკისტების მოლაპარაკება ჩემთან სწარმოებდა ამ თემაზე. ვრცელ დირექტივების მისაღებად ამხანაგმა ანანიამ მე გამგზავნა ამხ. ძაძამიასთან, რომელიც გოგიტა ფალავასთან ერთად განაგებდა სამხედრო-ტეხნიკურ ხასიათის მუშაობას ამხ. ძაძამიას (ის იყო ნაძალადევის რაიონის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე) მე ვიცნობდი 1920 წლიდან ბორჯომიდან, სადაც ის განაგებდა შეშის დამზადებას ქ. ტფილისის გვარდიის მთავარ და სარაიონო შტაბისათვის. ამხ. ძაძამიამ დამავალა მე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა მომეწყო 22 წ. ზაფხულზე ბორჯომში: 1) ვოროშილოვის ან სკლიანსკის მკვლელობა და 2) სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ბუდუ მდივანის და საქართველოს ცეკას თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის ცოცხლად ხელში ჩაგდება. ვოროშილოვი იმყოფებოდა ბორჯომში და ცხოვრობდა ლიკანის სასახლეში, სკლიანსკის ჩამოსვლას მოელოდენ. ბუდუ მდივანი უნდა ჩამოსულიყო ბორჯომში მუშებისათვის გენუას კონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად, ხოლო ფილიპე მახარაძე, რამდენადაც მახსოვს, მიემგზავრებოდა ახალციხის მაზრაში. ამ საქმეების მოწყობას უნდა ჰქონოდა სასტიკი კონსპირატიული ხასიათი ჩემ ახლო ამხანაგებისთვისაც კი. ამ აქტების შესრულებლად უნდა ყოფილიყვნენ გამბედავი, მტკიცე ნებისყოფის მქონე ამხანაგები, რომლებიც გაუძლებდენ ყოველგვარ წამებას და არ შეუშინდებოდენ დახვრეტასაც კი, თუ მათ დააპატიმრებდენ.

ისე უნდა მომეწყო საქმე, რომ ჩადენილ აქტებში ცეკას და ჩვენი პარტიის მონაწილეობა არ გამომჟღავნებულიყო ამიტომ საჭირო იყო ისეთ აქტიურ აღმასრულებლების გამონახვა, რომლებიც არსად და არავითარ პირობებში არ გასცემდენ პარტიას. ეს კი ძალიან ძნელი იყო. პარტიის და ცეკას დაფარვასა და დასახვრეტად თავის გადადებაზე ვინ დასთანხმდებოდა! შემდეგ, ანგარიში უნდა გაგვეწია ბორჯომში მყოფ კავკასიის 2-ე სკოლის კურსელების საკმაოდ დიდი რიცხვისათვის, და ბორჯომის და მისი მიდამოების მცხოვრებთა დამღუპველ მოსალოდნელ რეპრესიებისათვის. ზედმეტად ჩავსთვალე რა დამიმტკიცებია ამხ. ძაძამიასათვის ცეკას დავალების უმიზნობა (ის მელაპარაკებოდა ცეკას სახელით), მე დავეთანხმე მას და წავედი. „ნუთუ ჩვენი ცეკა ასეთ გზას დაადგა?"—ვეკითხებოდი მე ჩემს თავს, მაგრამ პასუხს არსაიდან არ ვღებულობდი. ძაძამიას სიტყვების შესამოწმებლად გადავსწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, მენახა ხელახლა ამხ. გენო და გოგიტა ფალავა. ნახვის ნებართვა მე მივიღე ამხ. ძაძამიასაგან. გოგიტასთან მე შევხვდი ამხ. გენოს და ლეო რ-ძეს. როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი გაოცება, როცა მე მათგან მივიღე მოცემულ დავალების დასტური და კიდევ ერთი დავალება: მიმეღო მონაწილეობა მოსკოვის ჩქარ მატარებლის ექსპროპრიაციაში წიფის გვირაბთან მაგრამ ამაზე შემდეგ. ამ მუშაობასთან ერთად, წინადადება მომცეს განმეგრძო მასების მომზადება გამოსვლისათვის და გამომეყენებია ყველა უკმაყოფილო ელემენტები და ბანდები (გორის მაზრაში მოქმედებდა მაშინ კასრაძის ბანდა).

გადაჭრილი პასუხი მე არ მომიცია: განვუცხადე, რომ „ჩავალ ბორჯომში, ავსწონ-დავსწონი დავალებათა დადებით და უარყოფით მხარეებს, ვინახულებ ამხანაგებს და გატყობინებ მათ ამის შესახებ". ამ სიტყვებით დავშორდი მე მათ. ჩავედი სახლში, „საქმისათვის" გამოსადეგი ამხანაგები მე ვერ ვიპოვე; და დავრწმუნდი რა ხანგრძლივი ფიქრების შემდეგ იმაში, რომ ტერორს და სხვა აქტებს შედეგად მოჰყვებოდა პოლიტბიუროს აღრიცხვაზე მყოფ ჩემ პარტიულ, უდანაშაულო ამხანაგების და რაიონის მცხოვრებთა ტანჯვა, რომელთა შორის მე ალვიზარდე, რომლებსაც მე უყვარდი, ვაცნობე ცეკას დავალებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. ამ დროს ბორჯომის ტყეში ხელისუფლებას ემალებოდა ცარიზმის დროს ცნობილი ტერორისტი, თავადების, ყაზახების და ჟანდარმების მოსისხლე მტერი ფორია და სახალხო გვარდიელი შაქრო კუმერიტაშვილი.

ძაძამია უშუალოთ აწარმოებდა მათთან მოლაპარაკებას ამხ. დათიკო ბატონისაშვილის (ამ ჟამად პარტიიდან გასულია) საშუალებით, მაგრამ ტერორში მონაწილეობის მიღებაზე ისინი არ დასთანხმდენ, ვინაიდან ფიქრობდენ დაბრუნებოდენ მშვიდობიან ცხოვრებას. შემდეგ კიდეც დაბრუნდენ. ჩემი წერილი დაკისრებულ ამოცანების შეუსრულებლობის შესახებ, არ იქნებოდა მოსული ცეკაში და უკვე ჩემთან ჩამოდის ამხ. დათიკო შემდეგი შინაარსიის პირობითი წერილით: „ამხანაგო, ისმაილ (ჩემი მაშინდელი ზედმეტი სახელი), თქვენსკენ მოფრინავს დიდი ჩიტი, დაიჭირეთ იგი. სხვა საქმეებზე მოგელაპარაკება ამ წერილის მომტანი რონინ". ჩიტის ქვეშ იგულისხმებოდა ბუდუ მდივანი. ჩამოვიდა თუ არა ის ბორჯომში, არ მახსოვს. ვიცი მხოლოდ ერთი: ის ცოტახნის წინად, ვიდრე მე ბარათს მივიღებდი, იმყოფებოდა ხაშურში და აკეთებდა იქ მოხსენებას გენუას კონფერენციის შესახებ. მეორე საქმე კი, რომელზედაც ლაპარაკი იყო წერილში, იყო მოსკოვის ჩქარი მატარებლის ექსპროპრიაცია. როგორც ვიცით, 1922 წ. ბათუმის ნავთსადგური გახსნილი იყო უცხოეთიდან საქონლის შემოსატანად. იქ რუსეთის და ამიერ-კავკასიის ყოველ კუთხიდან მიდიოდენ ვაჭრები და „გოსტორგის" სხვადასხვა წარმომადგენლები სავალუტო ფულების დიდი თანხებით. გაძარცვის დროს დასახული იყო ორი მიზანი: ცეკასათვის საშუალებათა გამონახვა და ევროპისათვის დამტკიცება იმისა, რომ საქართველოში ანარქიაა გამეფებული, არ არის ნამდვილი ხელისუფლება.

ცეკას ტეხნიკურმა წევრმა ძაძამიამ დამავალა მე გამეწია დახმარება 6—7 ვინტოვკის შოვნით ექსპროპრიატორების—ჩვენი პარტიულ ამხანაგებისათვის, რომლებიც იმავე მატარებლით გაემგზავრებოდენ ტფილისიდან. ტეხნიკურად ხელისუფლებისაგან ფარულად ამის გაკეთება შეიძლებოდა ასე: ბორჯომის რაიონიდან სოფელ ბანისხევზე გადის გზა წიფისაკენ; კარგ ამინდში ამ გზის 18—20 ვერსის მანძილის გავლა შეიძლება 5—6 საათში. ვინტოვკების შოვნა ყოველთვის შეიძლებოდა. მატარებლის გავლის 2—3 დღით წინ ჩემთან უნდა ჩამოსულიყვნენ ერთიერთი ექსპროპრიატორთაგანი ვინტოვკების მისაღებად. გამცილებლების სახით მათ გაჰყვებოდა 3—4 კაცი; განზრახული იყო მათთან ერთად გამგზავრებულიყო ფორიაც. ექსპროპრიაციაში უშუალო მონაწილეობას ისინი არ მიიღებდენ, მაგრამ ვალდებული იყვენ დაეცადათ ექსისტებისათვის სადგურის უკან, ტყეში. მე შევპირდი გამეკეთებია, რაც კი შესაძლებელი იყო. ამხ დათიკო გაბრუნდა უკან ტფილისში, ჩემთან მეტი აღარავინ ჩამოსულა ამ საქმეზე და შემდეგ გავიგე, რომ ჩვენი ექსისტების მთელი ჯგუფი შეპყრობილი იყო ჯერ კიდევ ტფილისში იმ მომენტში, როცა ისინი თურმე სხდებოდენ ჩქარ მატარებელში; შემდეგ ისინი გამოტყდენ, სთქვეს სიმართლე, გასცეს, რა თქმა უნდა, არა ყალბად, პარტია, ცეკა და ძაძამია და ასეთ ამხანაგების შერჩევისათვის, არა ექსის ორგანიზაციისათვის, რომლებიც, ცეკას სიტყვით, სუსტნი აღმოჩნდენ, რომელთაც გასცეს დაპატიმრების დროს პარტია და ცეკა, ამხ. „რონინ" (ძაძამიას ზედმეტი სახელი) ჩამოშორებულ იქნა ცეკას მიერ საქმისაგან. ამგვარად არც ეს საქმე დაგვირგვინდა სასურველად. საჭირო იყო რაიმე ახალის მოწყობა. ცეკისტებმა საქმე ამით არ გაათავეს: დასრულდა ზაფხული, ბორჯომიდან მიდიოდენ უკვე მოაგარაკენი. მოემზადენ წასასვლელად კავკასიის 2-ე სკოლის კურსებიც. ერთიც ვნახოთ, ჩემთან ტფილისიდან მოდის ამხ. გენო ცეკას დავალებით და ხაშურ-ბორჯომის რკინისგზის უბნის რუქით 23—25 ვერსთა შორის. მოხვეულში განზრახული იყო რელსების აყრა და კურსელების მატარებლის დამსხვრევა. მატარებელი ჩავარდებოდა მტკვარში, თუ მთლიანად არა, კურსელების დიდი ნაწილის დაღუპვა მაინც აუცილებელი იყო. ერთმა რაღაც გარემოებამ (ვეღარ შემიძლია გავიხსენო), არ ვიცი მატარებლის დღისით გასვლამ, თუ ტეხნიკურ აღმსრულებელის რელსების ამყრელის უყოლობამ ხელი შეუშალა ამ აქტის შესრულებას. გადარჩენ კურსელები, გადარჩენ ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, რომლებიც ბუნებრივად გახდებოდენ რეპრესიების მსხვერპლნი. ამხ. გენო იძულებული გახდა წასულიყო უკანვე ტფილისში ხელცარიელი. დადგა შემოდგომა. დაიწყო თავადების ჩოლოყაშვილის და გვერდწითელის ბანდების გამოსვლები. ასეთივე გამოსვლა ხზადდებოდა კავთისხევის რაიონში ლაშქარაშვილის მეთაურობით და გორის მაზრაში—კასრაძის მეთაურობით. რა თქმა უნდა, ეს ტალღა ჩვენ რაიონშიაც გავრცელდებოდა და შემდეგ სხვა რაიონებშიაც, მაგრამ ზემოაღნიშნულ ადგილებში გამოსვლების ლიკვიდაციამ ხელი შეუშალა დანარჩენ რაიონებს, რომლებსაც, უნდა თქვას, არ ჰქონდათ იარაღი და რომლებიც არ იყვენ საკმაოდ დარაზმული აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად.

1922 წლის ოქტომბრის დამლევს გორის მაზრის ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციისაგან მივიღეთ ცნობა, რომ ბორჯომის რაიონში ის გზავნის კასრაძის ბანდას, რომელიც 8 კაცისაგან შესდგება. ის გვთხოვდა გვეშოვნა ბანდისათვის უშიშარი ადგილი ჩვენს რაიონში, ან გადაგვეყვანა ის გაზაფხულამდი ახალციხის მაზრასთან მოსაზღვრე პროვინციაში (ოსმალეთის საზღვარი ახალციხიდან 12 ვერსზეა). ნოემბრის პირველ რიცხვებში ეს ბანდა უკვე მოვიდა ჩვენთან ბორჯომში და დაიმალა ტყეში აწყურის რაიონის ახლო. მათ ჩამოსვლისთანავე მე შევატყობინე ტფილისში ც. კ. რწმუნებულს ამხ. გენოს და ვსთხოვდი მოეცა სათანადო ინსტრუქციები და გამოეგზავნა პასპორტები. უნდა ვსთქვა, ამ ბანდის ჩამოსვლა, რომელმაც ამდენი უბედურება მიაყენა ტყვიავის და ცხინვალის მცხოვრებთ, ჩემთვის მეტად არასასიამოვნო მოვლენა იყო.

ჩამოვიდა გენო, ყველას გადასცა საცხოვრებელი საბუთები (ბლანკები, როგორც ბეჭედიდან და შტამპიდან ჩანდა, გამოტანილი იყო ტფილისის ალმასკომის შინა-მართველობის განყოფილებიდან) და ლოცვა კურთხევით გაისტუმრა ისინი სამხედრო უწყების ხე-ტყის სახერხი ქარხნების ვ ლაც წარმომადგენლის გასაძარცვავად, რომელსაც, მისი ცნობებით, ნოემბრის ათს თუ თერთმეტს ახალციხეში უნდა წამოეღო სახაზინო ფულების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ამ ფულის ნახევარი ნაწილი უნდა გადასცემოდა პარტიულ ორგანიზაციას.

მათ არ გაუძარცვავთ, და მგონი არც არავინ იყო გასაძარცვავი, მაგრამ თავიდან ფეხებამდი გახადეს, გასცალეს მგზავრი ქალები, მამაკაცები და ბავშვები, რომლებიც ორი ეტლით მიემგზავრებოდენ ახალქალაქიდან ბორჯომში.

თუ არ ვცდები, ეს იყო ნოემბრის შუა რიცხვებში და ამავე რიცხვებში ბანდა ისევ გორის მაზრაში გადავიდა, სადაც დარჩა 1923 წ. გაზაფხულამდი.

ამხ. გენო გაიგზავნა აზერბეიჯანში და მთიელთა რესპუბლიკებში არალეგალურ პარტიათა მუშაობის ადგილობრივ გასაცნობად, ჩვენი პარტიის საშუალებით მათთან კავშირის დასაჭერად და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არიან მომზადებული ჩვენი მეზობლები აჯანყებისათვის.

ლოზანას კონფერენციამ, რომელიც 1922 წლის ნოემბერში გაიხსნა, არაფერი არ მოგვცა ჩვენ და ამ რიგად ეს წელიც ისე დასრულდა, რომ ჩვენი პარტიისა და საქართველოს მეშჩანური მასის იმედებს განხორციელება არ ეღირსა.

გადავიდეთ ახლა ც. კ. 1923 წ. მოღვაწეობის მიმოხილვაზე, ისეც, თუ შეიძლება ასე თქმა, ჩემი რაიონის მასშტაბში. თუ რა ხდებოდა სხვა რაიონებში, ამის შესახებ უთხრან მშრომელ მასებს იქ მომუშავე ამხანაგებმა.

უნდა ეყოთ მათ გამბედაობა სიმართლის სათქმელად!

ამხ. ილარიონ გიორგაძის სიკვდილი ნუ შეაშინებს მათ!

23 წლის შესახებ შემდეგ წერილში.

ვანო ხმალაძე.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს კონკურსს

ლენინის ძეგლის ესკიზისას,

რომელიც უნდა იქმნეს დადგმული ამხ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში.

ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს:

1) ჯილდო 100 მანეთი ბაჯაღლო ოქროთი
2) 2 „ 80 „ „ „
3) 3 „ 50 „ „ „

ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელი დრო გაგრძელებულია ა. | წ. პირველ თებერვლამდე დღის 3 საათამდე.

ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.

4—1 ნის. № 841. **პრეზიდიუმი**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

შაქარი.

ბაქო. 10 იანვარი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს მისამართით ხარკოვიდან გამოგზავნილია 20 ვაგონი შაქარი.

კ ი ნ ო.

ზაქათალა. 10 იანვარი. გაიხსნა კინო-თეატრი, რომელიც ბევრ ხალხს იზიდავს და დიდ შემოსავალსაც იძლევა.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 10 იანვარი. 31 დეკემბერს ყველა სამრეწველოებზე ამოღებული იყო 758 000 ფ. ნავთი. გამოსახდელად იყო მიშვებული 439 000 ფ. გამოხდილი დაბრუნდა 434.000 ფ. დაიწმინდა 147.090 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 134 დაზგა, ჩაბურღულია 126 საჟენი.

1—2 იანვარს ამოღებული იყო 1.267 000 ფ. გამოსახდელად იყო მიშვებული 885.000 ფ. გამოხდილი დაბრუნდა 876.000 ფ. დაიწმინდა 266 000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 184 დაზგა, ჩაიბურღა 153 საჟენი.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ყველა სამრეწველოებზე ამოღებული იყო 63 573 000 ფ. ნავთი ე. ი. 12.329.000 ფუთითა და 24 პროც.-ით მეტი წარსული წლის პირველ მეოთხედთან შედარებით. ამავე ხნის განმავლობაში ჩაბურღულია 3,133 საჟენი მაშინ, როდესაც შარშან ამავე ხნის განმავლობაში ჩაბურღული იყო მხოლოდ 243 9 საჟენი ე. ი. 3 ნახევარჯერ ნაკლები. პირველ იანვრისათვის დასამუშავებელ ჭების საშუალო რაოდენობა უდრიდა 1790-ს, შარშან 1 იანვრისათვის კი მხოლოდ 1427 ჭაზე სწარმოებდა მუშაობა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული დისკუსიის გარშემო

რ. კ. პ—ის მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციის ხმა.

მოსკოვი, 11 იანვარი. მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა 10 იანვარს, ამხ. კამენევმა თავის მოხსენებაში პარტმშენებლობის და პარტიის მორიგ ამოცანებზე, ჯამი გაუკეთა დისკუსიის შედეგებს და აღნიშნა, რომ დისკუსიის მიერ აღძრული მთავარი საკითხი შემდეგია: არსებობს თუ არა პარტიაში სწორი ხელმძღვანელობა და სწორია თუ არა ის გზა, რომელზედაც პარტია დგას. პარტიის ც. კ—ტი და ამხ. ლენინი ყოველთვის სცნობდენ თავის შეცდომებს. მოხსენებელი ანალიზს უკეთებს ყველა საშიშარ მომენტებს, რომლებსაც შეიცავს პარტიულ აპარატის გარდატეხა და ტროცკის მიერ აღძრული საკითხი მოხუც-ახალგაზრდათა დამოუკიდებლობის შესახებ.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. კამენევმა დაახასიათა ც. კ—ის ეკონომიურ პროგრამის საფუძვლები და სასტიკი კრიტიკა გაუწია ოპოზიციის მიერ წარდგენილ კორექტივებს. აღნიშნა რა ევროპის ინტერესი დისკუსიისადმი, ამხ. კამენევმა წინადადება მისცა კონფერენციას დაადასტუროს ც. კ—ის გეზის სისწორე და ნდობა გამოუცხადოს მას.

პარტიული მუშაობა სამხრეთ-ოსეთის ოლქში ნოემბერში

მთელი სამხრეთ ოსეთის ოლქი დაყოფილია 10 რაიონად; ასეთი ადმინისტრატიულ დაყოფას თითქმის [illegible]ებით შეეფარდება თვით პარტიული დაყოფაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ რაიონს (ანდორეტსკი და მონასტირსკი), სადაც პარტ. ამხ. სიმცირის გამო ზედმეტად არის [illegible]ნილი პარტკომების არსებობა და წევრები ერთი რაიონისა შეკავშირებულია [illegible] უჯრედში, მონასტირის რაიონი კი შეერთებულია ახალ გორის უჯრედთან.

ნოემბერში ოსეთის საოლქო კომიტეტი აერთიანებდა 48 უჯრედს, რომლებშიაც ირიცხებოდა 530 წევრი და 9 კანდიდატი. ოლქის რვა რაიონში არსებობენ 8 ჯამაგირიანი პასუხისმგებელი მდივნები, რომლიდანაც 6 პას. მგებელი მდივანი ცენ. კომ. ღებულობს ჯამაგირს. აუცილებელია ამ შტატის გაზრდა 8 დის. პარტიული მუშაობის ასამაღლებლად ოლქ. კომ. მიმაგრებული ჰყავს რაიონებზე სამი ინსტრუქტორი, რომლებისთვისაც დაწესებულია სამ თვიანი მიმაგრების სისტემა და შემდეგ ურთიერთ შორის გადაცვლა, მათ მიერ დაწვრილებით ყველა რაიონების შესწავლის მიზნით. რაიინსტრუქტორების საშვალებით ოლქკომს საკმაოთ ცოცხალი კავშირი აქვს ადგილებთან.

სისტემატიურად კვირა დღის ყოველი თვის ოცი რიცხვის შემდეგ ტარდება ერთიანი პარტიული დღე. ნოემბერში ასეთი დღე ჩატარებული იქნა 25 რიცხვში. შემოვლას მთელი ოლქისას ადგილი ჰქონდა 20 ჯერ. ოლქკომის წევრების მიერ ჩატარებული იქნა 6 სხვადასხვა კამპანიები, მათ შორის ოლქი სასოფლო და სარაიონო საბჭოს არჩევნებიც.

საოლქო საბჭოთა ყრილობის ჩატარების მიზნით ცენტრიდან ჩამოსულ იყვნენ ამხ. მიახნიკოვი და ტაკოევი. მთელ ოლქში არჩეულია 15 სასოფლო და 10 სარაიონო საბჭო. სასოფლო საბჭოში გაყვანილია 629 წევრი, სარაიონოში 52 მათ შორის კომუნისტი 29 ა. კ. ქ. წევრი 3 და ერთი ქალი.

საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა ფართეთ შექნებოდა როგორც ორგანიზაციებში, ისე უპარტიო მასაში.

სასტატისტიკო საალრიცხვო ქ-განყოფილება ოლქკომის თავის სიმაღლეზე სდგას. სწარმოებს სწორი აღრიცხვა № 1 ფორმის მიხედვით და ხდება წამოყენება პარტ-წევრების საპასუხისმგებლო ადგილებზე.

ცხინვალის საქალაქო უჯრედს აღებული აქვს შეფობა ტბეთის, ცუნარის და სატიკაის სოფლის უჯრედებისა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარტიულ ორგანიზაციებში სრული მთლიანობაა, დისციპლინა და შეგნება იზრდება. პარტიული მუშაობა თანდათანობით ძლიერდება და შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამხ. ოსეთის პარტიული ორგანიზაციები, მიუხედავათ მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზებისა თავის სიმაღლეზე სდგას.

„ლაშურა".

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი" № 8 და 9)

„ზაკრნიგა" სრულიად არის გამოფენილი დიაგრამებით, სურათებით, დიოთი, კარიკატურებით, წარმოდგენილია ნედლი მასალა უცხო გაზეთებიდან ამოღებული, რადიოთი [illegible]ებული თუ დაჭერილი (перехваченные) და შემდეგ ეს მასალები იმ სახით, როგორც გაზეთებშია მოთავსებული.

უმაღლესი სკოლის მაგიდას ამშვენებს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გამოცემანი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებას გამოუფენია თავისი გამოცემანი ტუბერკულიოზის, სიფილისის, მალერიის და სხ. შესახებ ყველა ენებზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს და სხვა ფინანსთა კომისარიატის გამოცემანი ერთმანეთის მეზობლად თითქმის ერთადაა მოთავსებული. საყურადღებო ქარტები: საქონლის შემოტანა და გატანა ამიერ-კავკ. დამღების მიხედვით 1923 წლის 9 თვის განმავლობაში; მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში. გადასახადის განაწილება ფულად და ნატურით რაიონების მიხედვით. ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიულად დანაწილების ქარტა. აქ ერთი კურიოზი უნდა აღინიშნოს: საქართველოში აჭარა-აფხაზეთ-სომხეთ-ოსეთთან ერთად გამოყოფილია **სვანეთი**. საინტერესოა ამ.-კავ. ფინ. სახ. კომ. ალბომი ფინანსურ-ეკონომიურ ბიუროს 1923 წ. დიაგრამებით.

ამ. კავ. ცენ. აღ. კომ. გამოუფენია კანონთა და განკარგულებათა კრებულის ყველა ნომრები რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

ცენტროსოიუზს—„Закавказская Кооперація".

რ. კ. პ. ამიერ-კავ. საოლქო კომ. და საქ. კომ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის გამოცემანი ერთადაა მოთავსებული. აქ არის ოსური გაზეთი 1924 წ. № 1 ცხინვალში იანვრის 1-ს გამოცემული. დაბეჭდილია ლათინური შრიფტით. შიგ მოთავსებულია მარქსისა და ლენინის სურათები. გაზეთი საშუალო ფორმატისაა. ტირაჟი 500 ცალი.

მდიდარია ა.-კ. საოლქო კომიტეტი დიაგრამებით, სტატისტიკით. ადვილათ ეცნობით მის გამომცემლობას 1921—23 წლამდე. 1923 წელს გამოუცია ფასად 8,856 ცალი, უფასოდ 41,335. გამოცემულია **საქართველოში**: რუსულად 5,923, თურქულად 500, სომხურად 1,200, ქართულად 8,250; **აზერბეიჯანში**: რუსულად 6,206, თურქულად 6,200, სომხურად 1,255; **სომხეთში**—რუსულად 3,599, თურქულად 1000, სომხურად 3,550. არის გამოცემათა განაწილება სხვადასხვა დარგებათ და სხვ.

კომკავშირის კოლონა ლამაზადაა ამართული. ბევრია წიგნები, ჟურნალები ყველა ენებზე—რუსულზე, ქართულზე, სომხურზე, თურქულზე, მაგრამ არ არის დიაგრამები, სტატისტიკა..

„ენი ფიქირი". თურქული გაზეთი, ტფილისში გამოდის. 1922 და 23 წელს გაზეთის ტირაჟი: № 1—1150, № 100—1675, №№ 200, 300, 386—თითოეული 4300. სად კითხულობენ ამ გაზეთს? სტამბოლი—ტაშკენტი; თავრიზი—მოსკოვი; ყაზანი—ასტრახანი—ყარსი—ანგორა და სხ. მასალების განაწილება გაზეთში, რამდენი დაუწერია მუშას, გლეხს და სხვას. რევოლიუციონერთა სურათები, ამ გაზეთში დაბეჭდილი, კარიკატურები ანტირელიგიურ თემებზე და სხ. ბლომათ არის. საზოგადოთ გაზეთი სრულად არის წარმოდგენილი.

აზერბაიჯანის განყოფილება.

საუცხოვოდ არის წარმოდგენილი აზერბაიჯანის ბეჭდვითი სიტყვა ყურადღებას იპყრობს ახალი ლათინური შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, გაზეთი, მანდატი, ბრძანება და სხ. წიგნი და გაზეთი დაბეჭდილია ისე, როგორც იბეჭდება ჩვენი წიგნი—მარჯვნიდან მარცხნით და არა მარცხნიდან მარჯვნით, როგორც საზოგადოთ თურქული შრიფტით იბეჭდება. ეტყობა, ეს პირველი ცდაა, ვინაიდან თურქული „კომუნისტი" ჯერ კიდევ თურქული შრიფტით იბეჭდება.

თურქული „კომუნისტი" გამოდის 5500 ცალი. 1920—23 წ. მასალები მოულია გაზეთს რუსულსა და თურქულ ენებზე: 1920 წ. თურქულად 510, რუსულად 1400; 1921 წ. თურქულად 130, რუსულად 710; 1922 წ. თურქულად 260, რუსულად 800; 1923 წლის პირველ ნახევარში—თურქულად 541, რუსულად 1530, მეორე ნახევარში—თურქულად 2700; რუსულად 1460.

„მოლლა ნასრედინი"—იუმორისტული ჟურნალი. ტირაჟი 3000 ცალი. მრავალი კარიკატურებით.

გაზ „Бакинскій рабочій" ტირაჟი № 1—3500, მე-1000 ნომერი—17 500.

გაზ. „Труд"—პროფკავშირთა ორგანო მკრთალადაა გამოფენილი.

ბაქოს სომხური „კომუნისტი", ტირაჟი 1500 ცალი.

სახელმწიფო სტამბის ნაწარმოები, კოოპერატიული გამოცემანი. ნიმუშები ცინკოგრაფიიდან.

არალეგალური „ისკრა"-ს და „ბაკინსკი რაბოჩის" სტამბის რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი და სურათები ბაქოს საგუბერნიო ყოფილ ჟანდარმთა სამმართველოს არქივიდან.

ხშირად შეხვდებით თურქულ ენაზე გამოფენილ მარქსისტულ წიგნებს, როგორც მაგალ. მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი" და სხ.

სომხეთი.

სომხეთის განყოფილება ორად არის გაყოფილი: ერთში მოთავსებულია სომხეთის გარეშე გამოცემული ბეჭდვითი ნაწარმოები—წიგნები, ჟურნალ-გაზეთები.

მეორეში—შიგ სომხეთში გამოცემული.

პირველი სომხური გაზეთიდან დაწყებული, რომელიც გამოსულა ქ მადრასში (ინდოეთი) 1794 წელს, სომხურ ენაზე გამოუციათ სულ 840 სხვადასხვა სახელწოდების გაზეთი.

„მარტაკოჩი" გამოდის ტფილისში ტირაჟი 3000 ცალი, გამოფენილია მკრთალად.

წიგნები მარქსისტული, სახელმძღვანელოები, კალენდრები და სხ. მრავლადაა გამოფენილი როგორც სომხეთში, ისე მის გარეთ გამოცემული.

1918—1920 წ. მთელს სომხეთში ყოფილა 12 სხვადასხვა სახელწოდების გაზეთი; 1921-22; 1922—19; 1923—12.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა გამოუციათ სხვადასხვა სახელწოდების ჟურნალ გაზეთი: ერივანში 37, ალექსანდროპოლში—15 ეჩმიაძინში—4, ჯელალ-ოღლში—3, გორისში—2; უზუნლიარში, დილიჟანში, ნახჩევანში და ახალბაიაზეთში თითო. რუსულ ენაზე მთელ სომხეთში გამოდის 5 გაზეთი, ამათგან ერივანში 3; ჯელალოღლში 1 და ალექსანდროპოლში 1.

1921 წელს გამოდიოდა ორი კერძო გაზეთი.

„ნორ. აიასტანი"—(ცენ. აღ. კომ. და კომ. პარ. ორგ.) ტირაჟი 5000 ცალი.

სომხეთის სახელგამს 1921—23 წლ. გამოუცია 89 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, საერთო რიცხვით 326 200 ეგზემპლიარი. (ფირმა 664, „ოტისკი" 2.130.100).

საფოსტო მარკები, ბონები და სხ.

საერთოდ სომხური ბეჭდვითი ნაწარმოები ფართოდაა გამოფენილი.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ:

ჩვენის აზრით ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე ექსპონატების გამოტანა სტამბას, თუმცა პირდაპირ არ ეხება, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი სტამბები აქ იმ სახით მაინც დაგვენახა, როგორც, რამდენიმეთ თავისი სახე გვაჩვენა, ცეკავშირის სტამბამ: —რამდენი წიგნი დაბეჭდილია, გაზეთი, განცხადება და სხ. რა და რა ენაზე, რამდენი ფუთი ან ოზმა ქაღალდი დაუბეჭდავს და სხ.

ეს ყველაფერი ადვილი შესასრულებელი იქნებოდა იმ მუზეუმის საშუალებით, რომელიც პოლიგრაფიულ განყოფილებას სახ. მეურ. უმ. საბჭოსთან აქვს მოწყობილი.

ბ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(12 იანვარი).

ჩერვონცები — — —	650.000
ინგ. სტერლინგ. ეფექტ.	625 000
ჩეკები —	625.000.
დოლარები ეფექტ	143.000
ჩეკები —	136 000
თურ. ქაღ. ლირა	84.500
იტალიური ლირა	6100
ფრანგული ფრანკი	6900
ამ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

შუშკოვის ფასები

(11 იანვარი).

პური 1 ხარ.—3000 ათ., პური 2 ხარ—2250. ათ. ძროხის ხორცი—11000 ათ. ღორის ხორცი 10,000 ათ. შაქარი რაფინადი — 32,000 ათ. ფხვნილი შაქარი—18,600 ათასი ბრინჯი ალდ. 4800 ათ. კარტოფილი—750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(11 იანვარი).

პური 1 ხარ.—3500 ათასი, პური 2 ხარ.—2500 ათასი, ძროხის ხორცი 12000 ათ. ღორის ხ.- 12000. შაქარი რაფინადი—33000 ათ., შაქარი ფხვნილი 19,500 ათ. ბრინჯი ალდ.—6000 ათ, კარტოფილი 1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„ურალმეტ"-ის პროდ., ლვედები (აქლემის ტყავის), „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული რბილი, შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახ მ. უ. ს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.) ნოვორ. ცემენტი და ეტერნიტი, სალთმასი, ქვამარილი ნახიჩ, საარაყო პურეული.

ბირჟის მოთხოვნილება.

მაკარონი და ვერმიშელი, 1 ხარ. ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნიკური ცხიმი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, რუს. მანუფაქტურა, სალთმასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი, (საკონდიტრო), საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი რუს, ქვა-მარილი ნახიჩ, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია.

ოფიციალური ფასები.

ფქვილი (პურის)—2 მ. 35 კ. ჩ, ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

პორტლანდიის ცემენტი—9 მ. 50 კ. ბოჭკაში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი სოხუმში, და 7 მ. 75 კ. ბოჭკაში ფრანკო გემი—გუდაუთი.

მატყლი ზაქათალის—(არეული ლეკური და თუშური) 12 მ. 75 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება გაცხოველებულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსიც უწინდებურად შესამჩნევად ზევით იწევს.

სახელ. ბანკის ტფილისის კანტორის ახალი სააგენტოები.

ამ დღეებში გაიხსნა ტფილისში, პლეხანოვის პროსპექტზე, სახელ. ბანკის განყოფილების სააგენტო. ასეთივე სააგენტოები გაიხსნება ახლო მომავალში გუმბრში და განჯაში

აღმოსავლეთ რუსეთის სავაჭრო პალატა ამიერ კავკასიაში.

აღმოსავლეთ-რუსეთის სავაჭრო პალატამ დაადგინა გახსნას ტფილისში პალატის ამიერ-კავკასიის განყოფილება. ამ განყოფილების ორგანიზაცია მინდობილი აქვს ამხ. ტერ-გაბრიელიანს.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(12 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	650.000,	60 კ.—	39.000.000
2 „—	1 300.000,	70 „—	45 500 000
3 „—	1.950.000,	80 „—	52 000.000
4 „—	2.600.000,	90 „—	58.500.000
5 „—	3 250.000,	1 მ.—	65.000.000
6 „—	3.900.000,	2 „—	130.000.000
7 „—	4 550.000,	3 „—	195.000.000
8 „—	5.200 000,	4 „—	260 000.000
9 „—	5.850 000,	5 „—	325.000.000
10 „—	6 500.000,	6 „—	390 000.000
20 „—	13 000.000,	7 „—	455.000.000
30 „—	19 500.000,	8 „—	520.000.000
40 „—	26 000.000,	9 „—	585.000.000
50 „—	32.500.000,	1 ჩერ	650.000.000

ა. ქ. შინამრეწველობის კომისიაში.

ამიერ-კავკასიის ინდექსი.

ა. ქ. შინაური ვაჭრობის კომისიამ, თანახმად ამხ. ივანიანის მოხსენებისა, დაადგინა მიენდოს აღნიშნულ კომისიას, ამხ. გონჩაროვის თავმჯდომარეობით, ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს თავისი დასაბუთებული მოსაზრებანი შემდეგ საკითხთა შესახებ: ამიერ კავკასიის ინდექსის შედგენა,—მისი სახალხო მეურნეობის მიხედვით, ინდექსის შედგენის მეთოდოლოგია და ინდექსის შედგენის ორგანიზაცია. ამ კომისიის პირველი სხდომა მოხდება 10 იანვარს.

უმაღლეს ეკონომ. საბჭოში.

უ. ეკ. საბჭოს დადგენილების თანახმად უკვე დაწყებულია მუშაობა ა. ქ. რესპუბლიკების ნაციონალურ შემოსავლის აღრიცხვის შესახებ. განზრახულია მუშაობის დამთავრება მოკლე ხანში.

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი

8 იანვარს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, საღამოს 6 საათზე გაიხსნა ა. | კ. პროფკავშირთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ სრ. რ. პ. კ. ცენ. საბჭოს ა. | კ. ბიუროს პლენუმი, საქართველოს პროფკავშირთა წარმომადგენლები (18 კაცი) სომხეთის (5), აზერბეიჯანის (21), ა. | კ. რკინისგზის პროფკავშირთა საბჭოსი (4 კაცი) და კავშირის საოლქო სამმართველოსი (13 კაცი)

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. სემკოვი, ყურულაშვილი, იაკუბოვი, ლეჟავა და გასპარიანი.

თათბირი ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: 1) ა. | კ. პროფკავშირთა მდგომარეობა და მათი მორიგი ამოცანები, 2) მუშათა კოოპერაციის დათვალიერების შედეგები, 3) ა. | კ შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება, 4) რ. პრ. კავ ცენტ. საგ. ა. | კ. ბიუროს შემადგენლობის შესახებ, 5) ა. | კ. პროფკავშირთა ყრილობის მოწვევის შესახებ და 6) მიმდინარე საკითხები.

ა | კ პროფკავშირთა მდგომარეობა და მათი მორიგი ამოცანები.

(მომხსენებელი ამხ. სემკოვი)

ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს სრ. რ. პ. კ. ცენ. საბჭოს ა | კ ბიუროს თავმჯდომარე ამხ. სემკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავარი მოვლენა ა. | კავკასიის პროფმოძრაობაში არის მუშათა ძალების შეგროვება - შემჭიდროვება და პროფმოძრაობის საერთო ზრდა.

კავშირების ძირითადი კადრი — მუშათა კვალიფიციური ძალა არ მცირდება, პირიქით, იგი თანდათან იზრდება.

კავშირებში ჩაბმულ მასის შინაგანი თვითმოქმედება ფართოვდება და წინ მიიწევს. განზრახულია მუშაობის გაცხოველება ქვედა უჯრედებში—საქარხნო კომიტეტებსა და რწმუნებულთა შორის. კავშირების წინაშე სდგას საპროფკავშირო დემოკრატიის შექმნის და სრული გამოაშკარავების ამოცანები ჯერ სავსებით აღმოფხვრილი არ არის კავშირის შინაგანი ბიუროკრატიზმის ნაშთები. კავშირების ძირითადი ნაკლი არის ის, რომ, მუშაობის და პროფმოძრაობის ხელმძღვანელობას აწარმოებს პროფმუშაკთა მცირე კადრი და ქვედა უჯრედები დატვირთულია ადმინისტრატიული და სამეურნეო ფუნქციებით.

უნდა გამონახულ იქნეს მუშაობის ისეთი ფორმები, რომელნიც ჩააბამენ საკავშირო მასის უმრავლესობას აქტიურ პროფმუშაობაში.

პროფკავშირთა ეროვნული შემადგენლობა.

პროფკავშირთა ეროვნულ შემადგენლობის მხრივ ყველაზე უფრო ხელსაყრელი მდგომარეობაა სომხეთში, სადაც საკავშირო მასის 90 პროცენტს სომხები წარმოადგენენ. აზერბეიჯანის და საქართველოს კავშირის წევრთა შემადგენლობა მეტად ჭრელია. ამ რესპუბლიკებში სწარმოებს მუშაობა ადგილობრივი მუშაკების პროფმოძრაობაში ჩასაბმელად. პროფსაბჭოს ეროვნულ საკითხში სწორი ხაზი აქვს აღებული.

საწევრო გადასახადი.

ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლამ კავშირები რიცხვობრივად გაზარდა, მიუხედავათ ამისა, ა | კ. კავშირებს მაინც ჰყავს საშუალოდ წევრების 30 პროცენტი, რომელთაც საწევრო გადასახადი თავის დროზე არ შეაქვთ. დღის ამოცანაა საწევრო გადასახადის თავის დროზე და სავსებით აკრეფის მოგვარება.

ამ არა წესიერი მოვლენის აღმოფხვრა აუცილებელია საკავშირო მასაზე იდეიური და მორალური ზედმოქმედებით, ხოლო შემდეგში უნდა შემოღებულ იქნეს გადასახადის თავის დროზე არ გადამხდელთაგან გადასახადის რეალურ გამოხატულებით აკრეფა. გადასახადების აკრეფის ტეხნიკა საკმაოდ მოიკოჭლებს.

ხ ა რ ჯ ე ბ ი.

კავშირთა მიერ თავის გასავლის გაწესრიგება არა რაციონალური და მიზანშეუფერებელია. კავშირთა შემოსავლის 50 პროც. საშუალოდ იხარჯება მხოლოდ აპარატზე, დიდია აგრეთვე ადმინისტრატიულ ხარჯების პროცენტი აუცილებელია მოკლე დროში ამ დარგში გეგმაშეწონილი მუშაობის საშუალებით ფინანსიური სალაროს გაძლიერება, (საწევრო გადასახადის გადამხდელთა 100 პროცენტი, შინაგანი გადახალისება [illegible], აპარატისა და სამეურნეო ხარჯების შემცირება).

კულტმუშაობა.

კულტურული მუშაობის დარგში აღსანიშნავია მუშაობის გაცხოველება წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად.

ნაკლები ყურადღება ექცევა კავშირების მიერ პროფ-ტეხნიკურ განათლებას, ტეხნიკურ კურსებს და საქარხნო სკოლებს.

ხ ე ლ ფ ა ს ი.

ნივთიერ მდგომარეობის მხრივ მუშების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა შემდეგში ხელფასის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ხელფასის მიღწეული ღირებულების განმტკიცებისაკენ. კოლექტიური ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება ვრცელდება საქართველოში მუშა მოსამსახურეთა 51 პროც., სომხეთში 32 პროც, ხოლო აზერბეიჯანის 83 პროცენტზე. ა. | კ რკინისგზის მუშაკთა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირების წევრთა 100 პროც წარმოება-დაწესებულებებთან კოლექტიურად არიან ხელშეკრულნი.

ა. | კ. რესპუბლიკების მუშათა ჯგუფების ხელფასი არ ჩამორჩება ასეთივე ჯგუფების ხელფასს ცენტრ. რუსეთში. ჩამორჩა მხოლოდ ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ჯგუფებისა, რომელთა ხელფასის სხვა ჯგუფებთან შეთანასწორება აუცილებელია.

ხელფასის გასტუმრების საკითხი მოგვარებულია მხოლოდ მაზრებში აგვიანდება რამოდენიმე ხნით ხელფასის გადახდას.

ხელფასის შემდეგი ზრდა უნდა შეუთანხმდეს წარმოების ნაყოფიერების გადიდებას.

პროფკავშირები და წარმოება.

კავშირები მთლიანად უნდა დაუახლოვდენ წარმოებას. მორიგი ამოცანები, რომელიც ამ დარგში კავშირების წინაშე სდგას, უნდა გამოიხატოს მონაწილეობის გაძლიერებასა და მუშაობის გაცხოველებაში, სამეურნეო მშენებლობაში მუშაობაში უნდა ჩაბმული იქნეს მთელი საკავშირო მასა სხვადასხვა მეთოდებით და ფორმებით, რადგან ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია პროფკავშირთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამავე დროს მუშების ნივთიერი მდგომარეობის შემდეგი გაუმჯობესება დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის ნაყოფიერების ზრდასა და მთელ სახალხო მეურნეობის ამაღლებაზე.

კამათის შემდეგ მოხსენების მიხედვით რეზოლუციის შესადგენად არჩეულ იქნა კომისია.

დამზღვევ კასების არჩევნებისათვის

ცირკულიარი № 1

აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის [illegible] კავშირების საბჭოს, ს. ს. საქ. ყველა [illegible] პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობებს და დამზღვევ კასებს

იანვრის 15-დან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დაიწყება დამზღვევ კასების გამგეობათა ახალი არჩევნები. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი მუშაობისათვის.

სოციალური დაზღვევის ცხოვრებაში სწორათ და სრულად გატარება ბევრათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია დამზღვევ კასების გამგეობების შემადგენლობა. წარსულ მუშაობამ ჩვენ დაგვანახვა, რომ თუმცა დამზღვევ კასების მოქმედება წესიერ და მტკიცე კალაპოტში ჩადგა, მაგრამ მათ მოქმედებაში კიდევ არის ბევრი დანაკლისი, რომელთა გამოსწორება ახლო მომავალში ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის, სხვა ზომებთან ერთად, საჭიროა დამზღვევ კასების გამგეობათა შემადგენლობის გადახალისება და დაზღვევის ფართე კამპანიის ჩატარება.

ამიტომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭო და რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო წინადადებას გაძლევთ:

1. მოაწყოთ წარმოება-დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების და პროფკავშირების წევრთა საერთო კრებები, რომლებზედაც წაკითხულ უნდა იქნეს მოხსენება სოციალური დაზღვევის მნიშვნელობის, დამზღვევ კასის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოქმედების შესახებ.

2. დაზღვევის კამპანიის სასურველად ჩატარებისათვის შეადგინოთ კომისია სამი პირისაგან, რომელშიაც უნდა შევიდეს 2 პროფკავშირის და ერთი დამზღვევ კასის წარმომადგენელი. მოხსენებების წასაკითხავად უნდა მოიწვიოთ პროფკავშირებისა და, თუ საჭირო იქნება, პარტიულ ორგანიზაციების მუშაკები.

3 ფართოთ ისარგებლოთ სოც.-დაზღვევის სამმართველოს მიერ გამოცემული წიგნაკებით, ფურცლებით, პლაკატებით და თეზისებით სოც. დაზღვევის შესახებ.

4 პროფკავშირების კამპანიის ჩატარების შემდეგ, ადგილობრივი დამზღვევი კასის მოქმედების ვრცელი ანგარიშის მოსმენისათვის და გამგეობის არჩევნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე დროისთვის მოწვეულ პროფკავშირთა კონფერენციები, რომელთა დღის წესრიგშიაც უნდა დაისვას შემდეგი კითხვები:

1) სოცდაზღვევის პრინციპები, 2) დამზღვევი კასის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოქმედების ანგარიშები, და 3) დამზღვევი კასის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

5. ტფილისში აღნიშნულ კამპანიის ჩატარება იწყება კავშირების წევრთა საერთო კრების მოწვევით, რომლის დღის წესრიგშიაც უნდა შედიოდეს: 1) სოცდაზღვევის პრინციპები და 2) ტფილისის დამზღვევი კასის ანგარიშები კავშირების კამპანიის ჩატარების შემდეგ, მოწვეულ იქნება საქ პროფ. კავშირების საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომელზედაც ტფილისის დამზღვევი კასის საერთო ანგარიშის მოსმენის შემდეგ აირჩევა კასის გამგეობა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა.

6 დამზღვევი კასების გამგეობის ახალი არჩევნები ხდება იმის და მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი გამგეობის არჩევნებს ამ ცირკულიარის მიღებამდე.

7. დამზღვევ კასების გამგეობის წევრებათ საჭიროა არჩეულ იქნან სოცდაზღვევის კითხვებთან, ან პროფესიონალურ მოძრაობასთან კარგათ გაცნობილი ამხანაგები.

8. დამზღვევი კასების გამგეობას და სარევიზიო კომისიას ირჩევენ ერთი წლის ვადით. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებთან ერთად არჩეულ უნდა იქნეს საკმაო რიცხვი კანდიდატებისა. რესპ. სოცდაზღვევის სამმართველო და საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია წევრებისა და კანდიდატების რიცხვი განსაზღვროთ შემდეგი რაოდენობით: 1) ტფილისის კასაში—11 კასის გამგეობის წევრი და 5 კანდ, 2) ბათომის, სოხუმის და ქუთაისის დამზღვევ კასებში—7—9 წევრამდე და სამ სამი კანდიდ. 3) რესპუბლიკის დანარჩენ პუნქტებში—5 და 7 წევრამდე და სამ-სამი კანდიდატი.

რაც შეეხება სარევიზიო კომისიას საჭიროა უკანასკნელი შესდგებოდეს 3 წევრისაგან და 2 კანდიდატისაგან.

9 პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევის დღის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოთ სოცდაზღვევის სამმართველოს და საქ პროფკავშირთა საბჭოს თავის წარმომადგენლის გამოსაგზავნათ.

რაც შეეხება არჩევნების კამპანიის ჩატარებას ტფილისში, ამის შესახებ ცენტრ. პროფკავშირების წარმომადგენელთან ერთად შემუშავებული იქნება სათანადო წესი.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი: **გ. ყურულაშვილი.**

შრომის სახალხო კომისარი იგივე რ. ს. დ. სამმართველოს უფროსი:

ა. მიქაძე.

სამმართველოს მდივანი: **თუშიშვილი.**

ქრონიკა

— **ი. გიორგაძის ოჯახის უზრუნველყოფა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა წინადადება მისცა სახ. კომისართა საბჭოს, რათა უზრუნველყოს ვერაგულათ მოკლულ ამხ. ილარიონ გიორგაძის ოჯახი.

— **საქ. ცაკის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა.** საქ. ცენტ. აღმ. კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად დაარსებულია კომისია ამხ. საბაშვილის, ვარძიელის და რუბენის შემადგენლობით.

— **600 ჩერვონეცი საგლეხო კომიტეტების ფონდში.** საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, შორაპნის მაზრაში გლეხობამ ჯერ-ჯერობით შეაგროვა და საგლეხო კომიტეტების ფონდში შეიტანა: ექვსასი ჩერვონეცი, 4,500 ფ. ლობიო, 3700 ფ. სიმინდი და 500 ფ. ღვინო.

— **ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო პროექტი დადგენილებისა ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

— **ბაღის გადაცემა საგლეხო კომიტეტებს.** ტფ. ქ. აღმასკომმა დაადგინა მანგლისში ყოფილი „[illegible] ხოზეთის" ბაღი № 18 დასამუშავებლად გადასცეს ადგილობრივ საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტს.

— **სვანეთის დამხმარე კომიტეტი** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით დაარსდა სვანეთის დამხმარე კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. სტურუა (თავმჯდ) წევრები: ლ. ღოღობერიძე, კუჭაიძე, ათაბეგოვი, დ. კანდელაკი, ქორქაშვილი და საბაშვილი.

— **შრომის ორდენით დაჯილდოება.** სრ. საქ. ცენ. აღმ. კომიტეტმა დააკმაყოფილა ბორჩალოს მაზრის მესამე საბჭოთა ყრილობის შუამდგომლობა, რათა ამხ. შაბანოვი, ბორჩალოს მაზრაში ნაციონალურ შუღლის და ბანდიტიზმის მოსპობისათვის დაჯილდოვებული იქნეს შრომის ორდენით.

— **საგლეხო კომიტეტებში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, ახალციხის მაზრის გლეხობამ შეაგროვა და საგლეხო კომიტეტების ფონდებში შეიტანა 10,682 ფ. პურის ხორბალი.

— **საანგარიშო წიგნაკები;** ყველა წარმოება-დაწესებულებებმა შრომის კომისარიატის საინეო განყოფილებიდან მუშა მოსამსახურეთა საანგარიშო წიგნაკები უნდა შეიძინონ 23 იანვრამდე. წიგნაკი ცალი ღირს 50 კ. ჩერ.

— **მცხეთის წყალსადენი.** მცხეთის წყალსადენის დასამთავრებლად ა.-კ. კომუნალურ-მეურნეობის საბჭომ გადადო დამატებით 5,000 მანეთი ჩერვონცებით.

— **არხის გაყვანა კულაშ-ლანირის შორის.** უახლოეს მომავალში დამთავრდება დიდი არხი კულაშ-ლანირის შორის. არხის გაყვანას ხელმძღვანელობს საქ. კომუნალური მეურნეობა.

— **ჰაეროპლანით მიმოსვლა ტფილის-ბაქოს შორის.** ტფილის-ბაქოს შორის უკვე მოეწყო ჰაეროპლანით მიმოსვლა. პირველმა ცდებმა კარგი შედეგები მოიტანა, რის გამო მიმოსვლა მუდმივად იწარმოებს.

— **ქიათურის ჰაეროდრომი.** ა.-კ. საავიაციო საზოგადოება ახლო ხანში დაამთავრებს ქიათურაში ჰაეროდრომის მოწყობას, რის შემდეგ დაიწყება ჰაეროპლანით მიმოსვლა ტფილის-ქიათურას შორის.

— **შრომის ბირჟა.** 10 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 85 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 83, სამუშაოზე გაიგზავნა—88, მოთხოვნილება იყო—40.

შემთხვევები.

— მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა. 10 იანვარს დილის 7 საათზე დოლაბურის გზაზე მტკვრის ნაპირზე აღმოჩენილი იქნა ტომარაში ჩადებული დედაკაცის გვამი, დაახლოვებით 40 წლისა ხნით. გვამი აღმოჩნდა სრულებით შიშველი და თავგატეხილი. მიღებულია სასტიკი ზომები ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად.

— ქ უ რ დ ო ბ ა. 9 იანვარს დილით გაქურდულ იქნა შემახინის ქ. № 10 მოქ. ნიკოლოზ აბრამის-ძე ზარიძის ბინა, საიდანაც წაღებულია 40 ჩერვ. ნივთები.

— შ ე პ ყ რ ო ბ ა. 9 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე, ყაზარმის ქ. № 3 მოქ. მელიქ იაგორის-ძე სტაკანოვის ბინაზე შეპყრობილ იქნა გრიგოლ სერგის-ძე ლაშენკო, რომელსაც უნდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— ბ ა ვ შ ვ ი ს გ ვ ა მ ი. 8 იანვარს, რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა აღმოჩენილ იქნა უცნობი ბავშვის გვამის ნაწილები: ცალი ფეხი, თავის ქალა და ზედა ჩასაცმელი „მატროსკა". აღნიშნული ნაწილები გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ სავადმყოფოში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— ძ ა რ ც ვ ა. 6 იანვარს, ღამით სოფ. კოდის მახლობლად ბორჩალოს გზაზე გაძარცულ იქნა ბოროტ-მოქმედთა მიერ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი ი, დავითაშვილი, ელენე მინისტრიშვილისა და ვლადიმერ მახთაშვილი, რომლებსაც წაართვეს 5 მილიარდი ფულად, 1 ფ. ერბო და ნახევარი ფ. თაფლი. ყაჩაღები შეიპყრეს: ლ. აღდგომაშვილი, თედო ოქრუაშვილი, კოლია მურველაშვილი.

— ა ფ ე რ ი ს ტ ე ბ ი. 8 იანვარს, შეიპყრეს შ. ისჩენკო, აკოფოვი, სულგუჩოვი, ვასილენკო და აშჩისლავსკი, რომლებმაც მოქ. ივლია გარაბოტინას გამოუცვალეს ბრილიანტის საყურეები და მაგიერათ მისცეს უბრალო ქვები ბრილიანტის „კარატების" სახით.

ხელოვნება

— **გ. პლეხანოვის წიგნი.** იბეჭდება და იანვრის 15 გამოვა გ. პლეხანოვის წიგნი: „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება" წინასიტყვაობა და თარგმანი ს. აბაშელის.

— **მწერალი-ქალის ან. ერისთავ-ხოშტარიას იუბილე.** თებერვლის შუა რიცხვებში ტფილისში გაიმართება მწერალი-ქალის ან. ერისთავ-ხოშტარიას 30 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილე

— **„რევოლიუციონური დეკლამატორი".** პოლიტგანათლების მთავარი სამმართველომ გადასწყვიტა შეადგინოს და გამოსცეს „რევოლიუციონური დეკლამატორი".

— **სახელმწიფო კინო-ტრესტი.** ვინაიდან კინო-სურათებმა „არსენ ჯორჯიაშვილმა" „სურამის ციხემ" და „წითელმა ეშმაკუნებმა" დიდი ინტერესი გამოიწვიეს რუსეთში, კინო-ტრესტმა გადასწყვიტა გამოუშვას აღნიშნულ სურათების კიდევ ახალი ლენტები.

— **ამხ. გოგიბერიძის მოხსენება.** საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი კვირას იანვრის 13-ს საღ. 8 საათზე ხელოვნების სასახლეში მართავს საღამოს; მოხსენებას წაიკითხავს ამხანაგი მოსე გოგიბერიძე: „შემეცნების შესაძლებელი კრიტიკა". მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობას მიიღებენ განსაკუთრებულად მოწვეული პირნი.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის „დაისი".

— **დრამა.**

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

საქ. პროლეტარულ მწერალთა კრება

ხუთშაბათს, 10 იანვარს შესდგა საქ პროლეტარულ მწერალთა გაფართოებული საორგანიზაციო კრება.

კრება გახსნა ამხ. არტ. კვირიკაძემ, რომელმაც აცნობა კრებას მიზეზი და მიზანი ამ კრების მოწვევისა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გაცხოველებული იქნას შეჩერებული საქ. პროლეტარულ მწერალთა კავშირის მუშაობა.

ამის შემდეგ შემუშავებული იქნა შემდეგი დღის წესრიგი. 1) საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ანგარიში, 2) მოხსენება პროლ. მწერალთა კავშირის მომავალ მუშაობის შესახებ და 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კავშირის მუშაობის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ პროლეტარულ მწერალთა კავშირმა გაიარა რამდენიმე ეტაპი დაარსების დღიდან, კავშირი დაარსდა 1921 წელს ასოციაციის სახით, მუშაობას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიექცა თავის დროზე. კავშირის მუშაობა დღემდის მიმდინარეობდა სუსტად.

შემდეგ საკითხის შესახებ (კავშირის მომავალი მუშაობა) მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც გააშუქა პროლეტარულ მწერლობის საჭირბოროტო საკითხები და ის გზები რომლითაც უნდა მიდიოდეს პროლეტარულ მწერლობა.

ამ საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხ. იოსებ გედევანიშვილმა, შ. დუდუჩავამ, ი. ლისაშვილმა, ნ. ზომლეთელმა, რ. კალაძემ, პ. სამსონიძემ, იონა ვაკელ ა, შ. ნავთლუღელმა, მალაშხიამ და ეულმა.

არჩეულ იქნა საქ. პროლეტარულ მწერალთა გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: 1) იოსებ გედევანიშვილი, 2) სანდრო ეული, 3) პლატონ ქიქოძე 4) სილვა თოდრია, 5) ნოე ზომლეთელი 6) გიგო ხეჩუაშვილი 7) ბაჭიაშვილი. კანდიდატებად 1) იონა ვაკელი 2) შაქრო ნავთლუღელი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ 1) სევასტი თალაკვაძე, 2) შალვა რადიანი, 3) იტრიევი. კანდიდატათ: კ. მეგრელიძე.

კრება ერთხმად საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩია ამხ. ფილიპე მახარაძე და რაჟდენ კალაძე.

ბ.

მუშათა ცხოვრება

ოთხი თუ ორი ვედრა წყალი სულზე.

(ალმასკომის საყურადღებოდ).

როგორც ვიცი, ალმასკომი წყლის ხარჯს ანგარიშობს ოთხ ვედრას სულზე დღიურად. ეს ანგარიში თავისთავად აძვირებს წყალს, ხდის მას ნაკლებ ხელმისაწვდომად.

მაგრამ დასჭირდება თუ არა სინამდვილეში ჩვეულებრივ საშუალო ხელფასის მუშა-მოსამსახურეს ამოდენა წყალი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. მართლაც, ავიღოთ ხუთ სულიან მუშის ოჯახი. ასეთ ოჯახს დღეში ალმასკომის ანგარიშით ოცი ვედრა წყალი უნდა დასჭირდეს, ესე იგი მთელი ბოჭკა. განა ეს შესაძლებელია?! ამდენი წყალი რომ დაიხარჯოს, საჭიროა, შემდეგი პირობები:

1) ან ოჯახი უნდა იყოს პროფესიით მრეცხავი;

2) უნდა ჰქონდეს ოჯახის ყველა წევრებს, თითოეულს იმდენი საცვალი (არა ნაკლებ თორმეტისა თითო), რომ ისინი იცვლიდენ და ირეცხავდენ ყოველ სამ დღეში ერთხელ;

3) ამ სარეცხს დასჭირდება დიდძალი საპონი, შეშა და შრომა;

4) უნდა კეთდებოდეს სამზარეულოში რამდენიმენაირი საჭმელები, რასაც შემდეგ დასჭირდება დიდძალი ჭურჭლეულობა (სერვიზები), რომლის რეცხვას ძალიან ბევრი წყალი დასჭირდება და სხვა ასეთები.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ბედნიერებას საშუალო მუშა ჯერ-ჯერობით მოკლებულია და მის მიერ დღეში ერთი ბოჭკა წყლის ხარჯვა, ცხადია, აბსურდია.

ამისათვის უფრო ახლოს იქნება სინამდვილესთან ის, თუ მუშა-თანამშრომლის ოჯახზე ალმასკომი იანგარიშებს ერთს, ან ორს ვედრას სულზე, ეს უფრო სამართლიანი იქნება და ბევრად გააიაფებს წყალს. ის კი, რაც ამ ჟამად ხდება, უკანონოა და მისი გამოსწორება აუცილებელია.

მუშკორი ა. ნ.

მელითონეების პროფ-ტექნიკურ კურსებზე.

ა. წ. 2 იანვარს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა ამავე კლუბთან არსებულ მელითონეთა კავშირის ცენტრალურ პროფ-ტექნიკურ კურსების მსმენელთა საზოგადო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. არუთინოვი, მდივნობდა კოროტა. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) კურსების ხელმძღვანელ ამხ. მირზოევის მოხსენება სამოსწავლო პროგრამის შესრულების შესახებ, 2) მ. ც. კლუბის ადმინისტრაციის დამოკიდებულება კურსებთან, 3) კურსების სახელწოდების შეცვლა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მირზოევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დანიშნული სამოსწავლო პროგრამა კურსებზე განვლილია დამაკმაყოფილებლად და თანახმად სრულიად საქართველოს მელითონეთა მე-4-ე ყრილობის დადგენილებისა, სამოსწავლო ვადა კურსებზე გაგრძელებულია 1 ნახევარ წლამდის.

საზოგადო კრება მსმენელებისა აღნიშნავს დამაკმაყოფილებლად პროგრამის განვლას და გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას კურსებზე სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ, ამასთანავე მელითონე მუშები პირობას სდებენ კავშირის წინაშე, რათა ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ კურსების აყვავებას და გაძლიერებას, რათა სავსებით გაამართლონ კავშირის იმედები კურსების წარმატებაზე.

საზოგადო კრება უცხადებს მუშ. ცენტრ. კლუბის ადმინისტრაციას მადლობას იმ ყურადღებისათვის, რომელიც უკანასკნელმა გამოიჩინა კურსების მიმართ ბინის დათმობაში, განათება-გათბობაში და სხვ.

შემდეგ საზოგადო კრებამ მიიღო რა მხედველობაში მელითონეთა კავშირის პასუხისმგებელ მდივან ამხ. ბ. მაჩაიძის დაუღალავი შრომა, მისი კულტურული მოღვაწეობა მელითონეთა მუშების შორის, სახელდობრ პროფ-ტექნიკურ სწავლა-განათლებაში, რითაც ხელი შეუწყო მელითონეების კვალიფიკაციის გაძლიერებას, მძიმე ინდუსტრიის საშველად, დაადგინა: პროფ-ტექნიკურ კურსების არსებობის ნახევარი წლის აღსანიშნავად, დაერქვას უკანასკნელს ამხ. ბ. მაჩაიძის სახელობის მელითონეთა პროფტექნიკური კურსები. ვაშა! მუშა მელითონე, ამ. ბაგრატ მაჩაიძე! გაუმარჯოს მის კურსებს! ჩვენ კი ყოველის მხრით ხელს შევუწყობთ კურსების გაძლიერებას.

მუშკორი მელითონე.

ერთგული რკინისგზელები ტრანსპორტის ბურჯია

გასულ წლის 30 ნოემბერს სამტრედიის მახლობლად ღამის 11 საათზე უცბად მოვარდნილმა, ადიდებულმა გუბის წყალმა დააზიანა რკინისგზის ხიდი. მატარებელი უკვე გზაში იყო და მას დამსხვრევა მოელოდა. მაგრამ ლიანდაგის ერთგულმა დარაჯმა ამხ. ბარნაბა კოხრეიძემ თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადა სტიქიას. თავისი სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდებით, ის გადავიდა დაზიანებულ ხიდზე, და გაღმა 300 საჟენის სიშორეზე შეხვდა მატარებელს და გააჩერა ის. მატარებელი დამსხვრევას გადარჩა. შემდეგ მან ნიშნებით აცნობა ეს ამბავი გზის ოსტატს, რომელსაც უკვე გაეგო წყლის მოვარდნა და მოეშურებოდა საშველად, მიუხედავად საშინელი ღამისა. გზის ოსტატის მეცადინეობით ხიდი მალე იქნა შეკეთებული. ამნაირი ერთგული რკინისგზის მუშებით, როგორც არის გზის დარაჯი ამხ. კოხრეიძე და გზის ოსტატი ამხ. გორდილაძე სამართლიანად შეუძლია იამაყოს საბჭოთა ტრანსპორტმა.

ასეთები არიან ბურჯი ტრანსპორტისა. გაუმარჯოთ მათ!

სადგურ კოპიტნარის კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი სამსონ ხუჯუა.

ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება

(ალმასკომის საყურადღებოდ).

მე-11 რაიონის ზოგიერთი ქუჩები მოკლებული არიან ყოველგვარ მოვლას. ავდრების დროს ამ ქუჩებზე ლაპლაპებს თვალშემზარავი ტლაპო. არის შემთხვევები, როდესაც მცხოვრებლები ცოცხებით ხელში ერთგვარ დემონსტრაციას ახდენენ ქუჩებზე და ასუფთავებენ მას. მაგრამ, როდემდის?

ნაგუბარი წყლებით გავსილი ზოგიერთი ქუჩები, რაც რომ დრო გადის, ისეთ სუნს ჰფენს მუშათა უბნებს, რომ უცხო ვინმე, რომ იწვიოს მას უეჭველად უსიამოვნოთ ცხვირს უკან წაიღებს და დამფრთხალი კურდღელივით უკან მოუსვამს... ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, ავდრების შემდეგ მცხოვრებლები როგორ სეირობენ ამ ქუჩებზე უეჭველია, მცხოვრებლები ამ დროს დიდ გაჭირვებას განიცდიან და უკანასკნელ ფეხსაცმელებსაც კი, ტლაპოში სტოვებენ. ვაი იმას, ვინც კი დათვრება ურმის გორგოლასავით დაგორდება მაღლობიდან და მიექანება დაბლობისაკენ. თავპირ დამტვრეული სანამ მას ვინმე არ წამოაყენებს და საბრალოდ ჩურჩხელასავით ტლაპოში ამოვლებულს თავის ოჯახს არ მიუყვანს. გაკაპასებული მისი ცოლიც ამ სურათის დანახვაზე დატრიალდება ჯარასავით და კუთხიდან კუთხეში ეძებს ერთ მსხვილ ჯოხს ამ უბედურის მისათავაზებლად.

ჩვენ ქუჩებს სჭირია მოკირწყვლა, ვინაიდან ისინი ძალიან დაზიანებულია და იქ გავლა თითქოს შეუძლებელია ამ ზამთარში.

საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიაქციოს ალმასკომმა და შეასწოროს ზოგიერთი გაფუჭებული ქუჩებში.

მუშის შვილი ვლ. დიდაძე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: აქვს თუ არა სამუშაოდან მოხსნილ (დათხოვნილ) მუშა-მოსამსახურეს უფლება მოსთხოვს იმ დაწესებულება-ორგანიზაციას, ან კერძო პირს, სადაც და ვისთანაც ის უწინ მსახურებდა თავის სამსახურის მოწმობა?

პასუხი: სამსახურიდან დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთ აქვთ სრული უფლება მოითხოვონ და მათი ყოფ. დამქირავებელნი ვალდებული არიან მისცენ მათ სამსახურის მოწმობა და ყველა ის პირადობის და სხვა მოწმობები, რომელნიც მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სამსახურში ჩარიცხვის დროს.

კითხვა: აღნიშნულ შემთხვევებში გაცემულ მოწმობებში აქვს თუ არა დამქირავებელს უფლება აღნიშნოს იმგვარი ცნობები, რომელიც ჩირქს სცხებენ ყოფილ მუშა-მოსამსახურის პიროვნებას და ხელს უშლიან მათ სხვა სამსახურში ჩარიცხვისათვის?

პასუხი: დამქირავებელთ აუცილებლივ ეკრძალებათ გასცენ ყოფ. მუშა-მოსამსახურეთ იმგვარი მოწმობები, სადაც აღნიშნული იქნება რაიმე უარყოფითი მხარე დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა პიროვნების ან შრომის უუნარობისა. არავითარ შემთხვევაში გაცემულ მოწმობებში არ უნდა იქნეს აღნიშნული სამსახურიდან დათხოვნის ის მიზეზები, რომელნიც სცემენ მუშა-მოსამსახურეთა პრესტიჟს (სახელს).

კითხვა: აქვს თუ არა დამქირავებელს უფლება მის მიერ გაცემულ მოწმობებში აღნიშნოს დადებითი მხარენი დათხოვნილ მუშა-მოსამსახურის პიროვნებისა და შრომის უნარიანობისა?

პასუხი: ამის უფლება დამქირავებელთ აქვთ და შეუძლიან გასცენ კიდეც ამგვარი მოწმობები, თანახმად სამუშაოდან მოხსნილების მოთხოვნილებისა, ამ უკანასკნელს.

(იხ. შრ. კანონთა კოდექსი მუხ. 42 და მისი განმარტ. ამ.-კავ. შრ. სახ. კომის—ტის „ზარია ვოსტოკა“-ში № 96—1923 წ. 29 აპრილისა.

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** კვირას 12 იანვარს სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერა როსსინის „სევილიელი დალაქი“.

პატარა თეატრი.

— 14 იანვარს სახ. სახლი როგორც კულტშეფი ქართულ დივიზიისა აქ მართავს წარმოდგენას. დაიდგმება ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“ რეჟისორი მ. ღვამიჩავა.

პროვინციაში

სოფ. ქვემო ხოდაშენი (თელავის მაზრა)

ქვემო-ხოდაშენი თელავიდან 7—8 ვერსის მანძილზეა და ჩაუდის ახლოს დიდი შარა გზა-ტკეცილი.

თვით სოფელში შედის გზა-ტკეცილი. სოფელს ახლოს ახლავს რკინის გზის სადგური „წინანდალი“. აქ 350-მდე კომლია და გლეხობა ერთიანად მევენახეობას ეწევა.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ნამიტნავად გაანადგურა ფილოქსერამ ვენახები და აქ ნახევარზე მეტი გადახმა. ფილოქსერა მოდებულია ყველგან კახეთში, მაგრამ თელავის მაზრის ვენახები ძალიან დაზიანდა და ნახევარზე მეტი უკვე ამოგდებულია ფილოქსერისაგან. ცნობილი დიდ მინდორის ვენახები, სადაც მაღალი ხარისხის ღვინო დგებოდა, უკვე მოისპო.

ამ მხრივ გლეხობა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. აქაური ქვარნარი, კირხარი და მაგარი მიწები ძნელი დასამუშავებელია გადასაბრუნებლად (პლანტაჟით) და ამერიკული ვაზის შერჩევაც ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს.

გლეხები უკვე შეუდგენ მიწების გადაბრუნებას და იმედი აქვთ, რომ სახალხო სანერგეები მიაწოდებენ მათ დასარგავ ვაზის მასალას დამყნილი ვაზის სახით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველას ვერ გაუხდება სახალხო სანერგეები. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი სასარგებლო დაწყება: კახელ მევენახეთა კოოპერატივი „წინანდალი“ აქ აკეთებს ამერიკული ვაზის სანერგეს; ყოფილ აბა-მელიქის მამულში აბრუნებენ მიწებს და წელს დარგავენ ოთხ დესეტინას; თან განზრახული აქვთ დამყნილი ვაზის წარმოება და გაზაფხულზე დაჰყნიან 100 ათასამდის ლერწს. მუშაობას აწარმოებენ ადგილობრივი გლეხები და სოფლელები, კმაყოფილი არიან.

აბა-მელიქისეულ სახლში გახსნილია სკოლა და სწავლა სწარმოებს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს სადგომი სასკოლეთ ნაკლებია: არ არის შიგ სამყოფი სინათლე, ვიწროთ არიან ბავშვები. მაგალითად, ერთ განყოფილების ოთახს მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს; ბავშვებს სინათლე ზურგიდან სცემს, -სიბნელე და სივიწროვეა.

ეს სადგომი ალბად მომავალში საავადმყოფოდ დარჩება და ხოდაშნელები შეეცდებიან სკოლისათვის შენობის აშენებას.

X

დიდი სახალხო საქმე

დამსახურებული სახალხო მომღერალ-ლოტბარი **ძუკუ ლოლუა** ამ დღეებში მეტად შინაარსიანი მოხსენებით წარუდგა ქუთაისის ხელოვანთა კავშირის მიერ მოწვეულ საზოგადო კრებას. სხვათა შორის მან სთქვა: „ვინაიდან დღევანდელი გართულებული პირობების გამო მოწყვეტილი ვართ დედა-ქალაქ ტფილისს, ხოლო დაყოვნება ამ საშვილიშვილო საქმის შეუძლებელია, ჩვენი გულის ტკივილები უნდა გადავცეთ ჩვენს მეორე დედა-ქალაქს—ქუთაისს, რომელიც ჩვენ გაგვიგებს, დავაარსოთ ქუთაისში ხალხური სიმღერა-გალობის საზოგადოება, რათა გადავარჩინოთ გადაგვარებას და სრულიად მოსპობას ჩვენი ხალხის ძვირფასი მარგალიტები ყველა კუთხის საკუთარი ხასიათის შერჩენით“. კრება სიამოვნებით შეხვდა ამ წინადადებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადასწყვიტა ამ საქმეს ჯერ-ჯერობით ჩაუდგეს სათავეში ხელოვანთა კავშირი. ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დიდის თანაგრძნობით ხვდება ასეთ საქმეს. ვუსურვოთ წინ ვლა და გამარჯვება.

15 იანვარს ქუთაისის საზოგადოება უმართავს დამსახურებულ სახალხო ლოტბარს **ძუკუ ლოლუას** მისი 25 წლის მოღვაწეობის გამო საზეიმო სალამოს.

შ. ბ.

დ. სუფსა

ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ჩერვონეცის კურსითაც დაიწყეს ჯამაგირების გაცემა პირველ ნოემბრიდან, დეკემბერში მინიმუმიც გაადიდეს. მაგრამ ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ რაიონების მასწავლებლები, მაგ. სუფსის რაიონის, ჯამაგირს ძალიან დაგვიანებით იღებენ ზოგიერთ მაზრებში დეკემბრის ჯამაგირები დარიგებულია, ჩვენ კი ნოემბრის ჯამაგირების მიღებაზე ვოცნებობთ. როგორ და რა საშუალებით შეიძლება ორი თვის განმავლობაში ჯამაგირების მიუღებლათ ცხოვრება, როდესაც ეს ჯამაგირები არის ჩვენი ერთად ერთი სასრსებო წყარო? უნდა მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება და ბოლო მოეღოს ასეთ არანორმალურ მდგომარეობას.

ს. გ—ანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 31

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აგვისტოს 13 თარიღით გამოცემული დადგენილების დამატებისა და 3 და 4 მუხ. შეცვლის შესახებ

სახელმწიფო ფულადი გადასახადებისა და გამოსაღების ვადის გადადებისა, განაწილებისა და მოხსნისა და ხაზინაში არამართლურად შესული თანხების დაბრუნების შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აგვისტოს 13 თარიღით გამოცემული (კანონთა და განკარგულებათა კრებულის მე-10 №-რი, მუხ. 180) დადგენილების შესაცვლელად და დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ზემოხსენებული დადგენილების მე-3 და-4 მუხ. აღნიშნული თანხები „არა უმეტეს ორასი მილიონისა“ და „არა უმეტეს ასორმოცდაათი მილიონისა“—ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით—გამონაგარიშებული იქნება ჩერვონეცად და განისაზღვროს პირველი თანხა „არა უმეტეს ორმოცდაათი საჩერვონეცო მანეთისა“, ხოლო მეორე თანხა „არა უმეტეს ორმოცი საჩერვონეცო მანეთისა“.

2. ზემოხსენებული დადგენილება შევსებულ იქნეს მე-7 მუხლით შემდეგი შინაარსისა: „უფლება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებში—გადამხდევინების ღონისძიებათა მიუღებლად მოხსნან ხოლმე ანგარიშებიდან პირდაპირი გადასახადებისა და გამოსაღების ნარჩენის მცირე თანხები არა უმეტეს ხუთი საჩერვონეცო კაპიკისა თვითეულ ცალკე სანარჩენო მუხლზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის, დეკემბრის 24.

ბენზინის საექციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 4 კარის მე-5 მუხლის შესაცვლელად იმ ნაწილში, რომელიც ბენზინს შეეხება—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ბენზინისათვის საექციზო დაბეგვრის მტკიცე განაკვეთი ნაცვლად 1 მან. და 60 კაპიკისა ერთი მანეთი და ოცი კაპიკი (1 მან. და 20 კაპ.) ფუთზე ან შვიდნახევარი კაპიკი (7,5 კაპ.) კილოგრამზე.

2 ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული განაკვეთი გავრცელებულ იქნეს ბენზინის კონებულ მარაგზე, რაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა ვაჭრობის კომიტეტის მიერ, დამტკიცებულ ახალ გასასყიდ ფასებზე გადასვლის დღისათვის აღმოჩნდება ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სათბობი მასალის განყოფილებათა და აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ვ პრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბაზისო და სასადგურო საწყობებში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— წინადადება ეძლევა სტუდენტებს: დიონისი ცხადაიას და ვლადიმერ კოპალეიშვილს გამოცხადდენ ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში.

საგიტ. საპროპაგანდო განყ. მდივანი თამ. ძღენტი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 12 იანვარს საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) მოწვეულია **ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი**, იაჩეიკების პასუხისმგებელ მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1. რაიკომის საგიტ.-საპროპ. განყოფილების მუშაობის გეგმის დამტკიცება. 2. ქალთა განყოფილების საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობის გეგმის დამტკიცება. 3. ახალგაზრდობის კომკავშირის ქალაქის რაიკომის ანგარიში.

სავალდებულოა პლენუმის ყველა წევრების და იაჩეიკების მდივნების დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი, ხაცკევიჩი.

— შაბათს, 12 იანვარს საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება პოლიტიკური ცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

მოწვეულნი არიან: დიკოვოროვევი, როხლინი, პანტელეევი, მეტრეველი, მიქაძე, ბუნიკაშვილი, ზილბერმანი, გრიშენკო, ბაშინჯაღაია, იოსიძე, ხარმანდარიანი, ბეჟანოვი, შირვანსკი, პოლოსიანი, ტერ-არუტიუნოვი, სტანსკი, სალაძე, კარაგულიანი, ზილგნსკაია და კუზმინა.

დღის წესრიგი:

1. დახმარებების შესახებ (პენიაკოვი).
2. მეცადინეობის მეთოდები (მედვედევი).
3. მიმდინარე საქმეები.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ა. პენიაკოვი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** იტყობინება, რომ ორშაბათს, 14 იანვარს საღამოს 7 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში შესდგება ტფილისის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების **კოლეგიის თათბირი.**

დღის წესრიგი: 1. პოლიტიკური განათლების განყოფილების მოხსენება. 2. პოლიტიკური სეკრეტარიატის მოხსენება. 3. დივიზიის პოლიტიკური განყოფილების მოხსენება 4. პარტიული კლუბის მუშაობის შესახებ. 5. მიმდინარე საქმეები. მოწვეულნი არიან: რაიკომების საგიტ.-საპროპ. განყოფილებათა გამგეები, პოლიტიკური განათლების განყოფილების გამგე, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს პოლიტიკურ სეკრეტარიატის და დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებათა წარმომადგენლები.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

— **ს. კ. პ. ტ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ შაბათს 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) მოწვეულია **ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი** უჯრედების პასუხისმგებელ მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სამოქმედო გეგმის დამტკიცება, 2. ქალთა განყოფილების სამოქმედო გეგმის დამტკიცება. 3. კ. ახ. კავშირის ქალაქის რაიკომის ანგარიში.

სავალდებულოა დასწრება პლენუმის ყველა წევრებისა და უჯრედების მდივნებისა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დასავლეთის ნაციონალურ უმცირესობათა კლუბის მოწყობა, იწვევს კვირას, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე, (ნიკოლოზის ქ № 59) ეროვნულ უმცირესობათა (პოლონელები, გერმანელები, ლატიშები, ჩეხო-სლოვაკები, უნგრელები) კრებას. დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერნაციონალური კლუბის მოსაწყობათ. დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ
2. წესდების დამტკიცება.
3. დროებითი გამგეობის არჩევა.

კრების შემდეგ—კონცერტი.

საორგანიზაციო კომისია.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— შაბათს, 12 იანვარს, საღ. 6 საათზე გალობისა და მუსიკის წრეში:

1. დანოვსკის მოხსენების „სკოლაში მუსიკის სწავლის მიზნები და ამოცანები“-ს გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.
2. მუსიკალურ ნაწარმოების შესრულების შესახებ.
3. გალობის მასწავლებელთა გადაჯგუფების ორგანიზაციის საქმე.

— შაბათს, 12 იანვარს, საღ. 7 ნახ. საათ. ამხ. რამენსკის მოხსენება თემა: სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა ასაკობრივი ინტერესების მიხედვით.

სახლის გამგე შიუკაშვილი.
საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

კვირას, 13 იანვარს, ქალ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება დეკანოზ

სპირიდონ გიორგის ძე
ლეკვეიშვილის

ერთი წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ამხანაგთ, ნაცნობთ და ნათესავთ მეუღლე ნატალია, შვილები: ნინო, ოლია, თამარი, ბარბალე, კუკური, ირაკლი და ვასილი, სიძენი: სპირიდონ ჩომახიძე და სოლომონ ცინცაძე, 877—1—1

სამუდამოთ დამწუხრებული მეუღლე იულია კონსტანტინეს ასული, შვილები: სოსო და ეთერი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ხუთშაბათს, 10 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ზაქარია (მაქრო) იესეს ძე
უზნაძე

რომლის გასვენება მოხდება რკ. გზის საავადმყოფოდან, შაბათს 12 იანვარს 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა კი მოხდება კვირას, 13 იანვარს წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ დილის 11 საათზე ჩერქეზიშვილის მოედნიდან (ამხ. ჯაფარიძის ქუჩის პირდაპირ, სახლი № 9 [illegible]). 378 1—1

სახელმწიფო
ოპერა
1924 წელი

დღეს, 12 იანვარს
პროფკავშირებისათვის
დაისი
ხვალ, 13 იანვარს
ევგენი ონეგინი

ნის. 838 3—1

გამოვიდა და იყიდება ყველა კიოსკებში და ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებთან როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს გამოცემა-ალბომი

„1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“.

ალბომი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 92 გვერდს და მოთავსებულია შიგ სურათები, მოგონებანი და ბიოგრაფიები 83 დაღუპული რევოლიუციონერის შესახებ.

შინაარსი:
(სურათები, მოგონებები, ბიოგრაფიები)

1) მკითხველებს, 2) დაღუპულ რევოლიუციონერთა სურათი—ჯგუფი, 3) სინოშვილი ეგნატე, 4) კეცხოველი ლადო, 5) წულუკიძე საშა, 6) ჩოდრიშვილი ზაქრო, 7) მონტინი პეტრე, 8) სპანდარიანი სურენ, 9) ბოჭორიძე მიხო, 10) დავიდოვი მიშა, 11) თელია გიორგი, 12) გალდავის ასული ფაცია, 13) კალანდაძე ვანო, 14) ლომინაძე ელისე, 15) ცინცაძე იესე (პეტრე), 16) ჯუღელი გიგო, 17) კილაძე ბესარიონ, 18) კნუნიანი ბოგდან, 19) სტურუა ვასო, 20) ჯუღელი სევერიანე, 21) მეგრელიძე იასონ, 22) ჯაფარიძე არჩილ, 23) ლომთათიძე პოლო, 24) კალიძე მინა, 25) ჩაჩავა კოსტა, 26) ებრალიძე იოსებ, 27) ჭიჭინაძე ქიქია, 28) კუჩუევი მიშა, 29) სულხანიშვილი კოლა, 30) კიკნაძე მიხო, 31) შევარდნაძე დათიკო, 32) იმნაიშვილი გერმანე, 33) გორდეზიანი აკაკი, 34) ინწკირველი ვანო (სტეპკო), 35) ჯორჯიაშვილი არსენ, 36) თილიკაძე პანტელეიმონ, 37) პიშკინის ასული ალექსანდრა (შურა), 38) ქვლივიძე ილიკო (ზაქრო), 39) ლორთქიფანიძე კოლია, 40) რედაქციისაგან, 41) ნინიძე იპოლიტე, 42) მინდიაშვილი ნიკა, 43) ელიავა გიორგი, 44) ბურჭულაძე ს, 45) ვასერის და მარცვალოვის ხსოვნას 46) ჭაჭიაშვილი ილიკო, 47) კილანდაძე ჭიჭიკო, 48) მერკვილაძე ეფრასიონ, 49) დუმბაძე ვასო, ბაქრაძე ვალიკო, 50) ივანიაძე სილოვან, 51) მიკატაძე ლუარსაბ, 52) ვადაჭკორია ასალო, 53) კალიძე გერონტი, 54) მამაცაშვილი გარსო, 55) ლეჟავა პროკოფი, 56) არავიაშვილი იოსებ, 57) ელიავა ესტატე, 58) მაღრაძე თედო, 59) ხირსელი გიორგი, 60) გულდედავა დომენტი, 61) თვარაძე ვასო, 62) მეტრეველი ვლასა, 63—83) მაღრაძე ვ., ხომერიკი გ., შავიძე ი., რევაზიშვილი დ., ბერიძე ა., შველიძე თ., კაკრიაშვილი თ., ჭუმბურიძე ი., ჭუმბურიძე ს., მიქაბერიძე პ., სვანიძე ა., არჩვაძე დ., გაჩეჩილაძე ლ., ტაბატაძე ა., გაჩეჩილაძე გ., ფირცხალაძე კ., ბოკერიაშვილი კ., ოდიშაშვილი კ., ზარიძე მ., ჯანანაშვილი ქ.

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობა.
(4—3) უფ.

ამინდი ამიერკავკასიაში

10 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 7 გრ., ბათომში... 4 გრ., სამტრედიაში... 2 გრად., ქუთაისში... 3 გრადუსი, აჯამეთში... [illegible] გრ., ჭიათურაში... 2 გრადუსი, ბორჯომში... 2 გრ, სურამში... 1 გრ., ტფილისში... 2 გრ., ერევანში... 2 გრ., (ბაქოდან, წიფიდან, მუხრანიდან—ველისციხიდან ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: ბათომში და სამტრედიაში მცირე; ქუთაისში—საგრძნობი; ფოთში და აჯამეთში—ძლიერ დიდი; დანარჩენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, მსუბუქი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ წყნარი.

ნალექი: ნელი წვიმა ფოთში, ბათომში, ქუთაისში და აჯამეთში.

ზღვის მღელვარება ნაპირებ: ფოთში, ბათომში, ლენქორანში სიწყნარეა.

ამინდი საქართველოში.

[illegible] ღრუბლიანობა, ქარ[illegible] ნელი წვიმები დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთში — ალაგ-ალაგ ჰყინავს.

ჩრდილოეთ კავკასია.

10 იანვარი, დილის 7 საათი.

კავკაზი. ტემპერატურა:—3 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 1 გრ., მოღრუბლულია, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

11 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 6 გრ., სრული ღრუბლიანობა, ქრის სამხრეთ აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სასოფლო ეკონომიის და კოოპერატიულ ჟურნალ

„მიწის მუშა“-ზე

ჟურნალი გამოდის კვირაში ერთხელ და ღირს თვეში

20 კაპ. ჩერვ. ცალკე ნომერი 6 კაპ. ჩერვ.

კანტორის და რედაქციის მისამართი: ტფილისი რუსთაველის პრ. № 24 ტელ. 10 49 უფ 3—1

1924 წ. იანვრიდან გამოდის

საქართ. სახკომსაბჭოსი და საქ ცაკის ორკვირეული

ოფიციალური ჟურნალი

„მოამბე“

ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებებით.

ჟურნალში მოთავსებული იქნება ყველა საკანონმდებლო აქტი და განკარგულება როგორც სახკომსაბჭოსი და ცაკის, ისე ცალკე სახ. კომისარიატების. ყველა კომისარიატს ექნება ჟურნალში თავისი განყოფილება. ჟურნალში მოთავსდება წერილები, ანგარიშები, განცხადებები, საინფორმაციო მასალა და სხ. მიიღება ყოველგვარი განცხადება.

ჟურნალი მოთავსებულია სასახლეში—ოთახი № 28.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

3—3 პასუხისმგებელი რედაქტორი ი. ვარძიელი.

თამბაქოს ტრესტის

1-ლი სახელმწიფო სამუყაო (კარდონის)

ქარხანა „ინტერნაციონალი“

იღებს ყოველგვარ შეკვეთებს, ყოველნაირი მუყაოს (კარდონის) [illegible] თიბზე, სახელდობრ კოლოფებზე: პაპიროსისა და თამბაქოსი, ს[illegible] ტოსი; (მშვიდობიანობის დროის ნიმუშებით), არშიანი თეთრი ქა[illegible] შიგნიდან ამოწებებული, სანამცხვროებისათვის (დასაკეცი, მანქანით [illegible] შავებული), საფეითიქო, საპარფიუმერიო, საგალანტერიო, საფეხსაცმლე და სხვა.

მუშაობა სრულდება წესიერათ, წმინდათ და კოხტად. შეკვეთები იღება ქარხნის კანტორაში.

კამოს ქ (ყოფ დიდიმთავრის) № 28 დილის 7 ნახ. საათიდან 4 საათამდე. ტელეფონი № 13-37. იქვე იძლევიან ყოველგვარ ცნობებს.

842—3—1 ადმინისტრაცია

ხორცი და ხორციეული საზრდო ფუძეა ადამიანის კვებისა.

1924 წ. 1-ლ იანვრიდან

თბილისის ქალაქის სასაკლაოსთან გახსნილია

ძეხვის ქარხანა

მზადდება

შაშხი, მკერდი, ფერდი და სხვა, ძეხვი მოხარშული და დაშაშხული. მთელი მასალა, რომელიც ქარხანაში შემოდის მუშაობის დროს, იმყოფება მკაცრი სანიტარული კონტროლის ქვეშ. სანოვაგე დამუშავებული იქნება დაპლომბული, როგორც სასაკლაოსი (აყროლეები, საშრობები) აგრეთვე ქარხნისა. აპარატების ასორტიმენტი და ელექტრო ენერგია გვაძლევს საშუალებას გამოუშვათ სანოვაგე იაფად შედარებით კერძო საწარმოოსთან.

შეკვეთისათვის მიმართეთ სასაკლაოს კანტორაში.

სასაკლაოს დირექტორი ბოჭორიძე.

არანორმალური და ცუდი კვება ადამიანს ზიანს აძლევს.

2—2 ნის 840

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. სალ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ღარიბებს უფასოთ. 25—8

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 303—25—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

სამოლების რენტგენული დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა

სურდოს და შიგნით ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ

სამკურნალო აფთიაქის ექ. სვიმონ ჟიჟუზის [illegible]

ნიდლოში. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20. (124 25 20

დაიკარგა მატარებლის ბილეთი უფასო რკინის გზის მთავარ ს[illegible] ხელოსნ. აღებული № 245969 და პირადობის მოწმობა № 422 ეგოროვი ივანეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 881—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვარლამ შარავიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 380—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან მიღებული № 23322. ამ მოწმობაში ჩაწერილი ვით აღნიშნული სამი მოქალაქე. ჩაითვალოს გაუქმებულად. ელიზბარ შავარიანი. 379—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1052 მოცემული შორაპნის მაზრის ალმასკომის მიერ აპოსტოლ ივანეს ძე კარ[illegible] ლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 376—1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სამი წულუკიძის ქუჩა № 4.